პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 69 (5170) | შაბათი, 26 მარტი, 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

ელექტროსადგურები სოციალისტური მრეწველობის გულია („პრავდის“ მოწინავე).
ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვ.).
ელსადგურთა და ელექტრონის ქსელის მუშაკთა სრულიად-საკავშირო თათბირი (1-ლი გვ.).
ელექტროსადგურებისა, ქსელებისა და ენერგოსისტემის ყველა მუშისა, ინჟინრისა, ტექნიკოსისა და ყველა მუშაკისადმი (თათბირის მიმართვიდან. მე-2 გვ.).
ბ. გოგუა — დიდი გამარჯვება (მე-3 გვ.).
სოლომონ თავაძე — ორსანტია (ლექსი. — მე-3 გვ.).
ა. ხოფერია — თბილისის კონსერვატორიის 20 წლისთავი (მე-4 გვ.).

უცხოეთში:
ესპანეთის ფრონტებზე (მე-2. გვ.).
მადრიდის ბომბარდირება (მე-2 გვ.).
საფრანგეთის პრესა ინგლისის მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ (მე-2 გვ.).
დათხოვნა ავსტრიის არმიაში (მე-2 გვ.).

ელექტროსადგურები სოციალისტური მრეწველობის გულია

ამ დღეებში დამთავრებული სრულიადსაკავშირო თათბირი ელექტროსადგურთა და ელექტროქსელთა მუშაკებისა, რომელიც ჩატარდა მძიმე მრეწველობის სტალინური სახკომის ამხანაგ ლ. მ. კაგანოვიჩის ხელმძღვანელობით, დიდ როლს ითამაშებს წარმოების ახალი, უმაღლესი კულტურის დაუფლებისათვის, მესამე ხუთწლედში საბჭოთა მეურნეობის შემდგომი აყვავებისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა ქვეყანას უფლება აქვს იამაყოს თავისი ენერგეტიკით. მარტო მეორე ხუთწლედში ჩვენი ელექტრო სადგურების სიმძლავრე გაიზარდა 74 პროცენტით, ელექტროენერგიის წარმოება გადიდდა 2,6-ჯერ. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 20 წლის მანძილზე ჩვენ ელექტროენერგიის გამომუშავების მხრივ მსოფლიოში მე-15 ადგილიდან მესამეზე წავიწიეთ. საბჭოთა ენერგეტიკოსები თავიანთ რიგებში ითვლიან მრავალ ათას მოწინავე ადამიანს — სტახანოველებს, ინჟინრებს, სამეურნეო მუშაკებს, რომელნიც სულით და გულით ერთგულნი არიან თავიანთი სოციალისტური სამშობლოსადმი, ბოლშევიკური პარტიისადმი, ლენინ-სტალინის დიადი დროშისადმი.

ამ ადამიანებს — ელექტროფიკაციის ენტუზიასტებს — ჩვენი სამშობლო უნდა უმადლოდეს მრავალ წარმატებას ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის სტალინური გეგმის განხორციელებაში, და ამიტომ ჩვენმა ენერგეტიკოსებმა დაიმსახურეს ის პატივისცემა, რომლითაც ეპყრობა მათ საბჭოთა ქვეყანა.

პარტია და მთავრობა გულუხვად აძლევენ ენერგეტიკულ მრეწველობას ყოველივე იმას, რაც მისთვის აუცილებლად საჭიროა. ამ მრეწველობას უდიდესი სახსრები ხმარდება. საკმარისია ითქვას, რომ მარტო მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით წელს მილიარდ მანეთზე მეტი იხარჯება ელექტროსადგურებისა და ქსელების კაპიტალურ მშენებლობაზე. ეს თანხა ერთი-ორად და კიდევ მეტად აღემატება გასული წლის კაპიტალდაბანდებათა მოცულობას. ცხადია, რომ ჩვენს ქვეყანას უფლება აქვს მაღალი მოთხოვნები წაუყენოს ჩვენი ენერგეტიკული მრეწველობის მუშაკებს.

ფაშისტური დაზვერვათა დაქირავებული აგენტების მავნებლობამ ფრიად დიდი ზიანი მიაყენა ენერგეტიკულ მრეწველობას. ამზადებდნენ რა დივერსიულ გამოსვლებს საბჭოთა მიწა-წყალზე აგრესორის სამხედრო თავდასხმის მომენტისათვის, ტროცკისტ-ბუხარინელი არამზადები აჭიანურებდნენ მშენებლობის ვადებს, ჰფუშავდნენ და ართულებდნენ ახალი სადგურებისა და აგრეგატების ამოქმედებას. ისინი შეგნებულად ჰქმნიდნენ შეუფარდებლობას ქვაბებისა და ტურბინების სიმძლავრეებს შორის, სადგურებისა და ქსელების სიმძლავრეებს შორის. ისინი ყოველნაირად საბოტაჟს უწევდნენ და აფერხებდნენ ახალი ტექნიკის და პირველ რიგში მაღალი წნევის ქვაბებისა და ტურბინების დანერგვას. ისინი ჰფუშავდნენ სადგურების მომარაგებას სათადარიგო ნაწილებით. ჰქმნიდნენ ავარიებს, არღვევდნენ რელედაცვას, აჭიანურებდნენ და ჰფუშავდნენ მოწყობილობის რემონტს, ისინი მავნებლობდნენ, შეგნებულად ადგენდნენ რა არასწორ პროექტებს, ირჩევდნენ რა უვარგის მოედნებს ახალი სადგურების განლაგებისათვის. დასასრულ, ისინი სისტემატურად აწყობდნენ მცირე და დიდ ავარიებს.

მავნებლობამ ასეთი ფართო ხასიათის მიღება მხოლოდ იმიტომ შესძლო, რომ ელექტროსადგურების მუშაკები ნამდვილ ბოლშევიკურ სიფხიზლეს ვერ იჩენდნენ. ელექტროსადგურზე სიფხიზლის გამოჩენა ნიშნავს — შეგეძლოს გამოიცნო მტერი, რა სამოსელშიაც არ უნდა იყოს იგი გახვეული. სიფხიზლის გამოჩენა — ეს ნიშნავს შექმნა ისეთი ვითარება, რომ მტერი — მავნებელი— ველარსად დაიმალოს. ამისათვის კი აუცილებელია მიაღწიო ისეთ მდგომარეობას, რომ სადგურებში დამყარებული იყოს იდეალური წესრიგი, რომ მუშაობის კანონად გახდეს სიფაქიზე, აკურატობა, ტექნიკური ინსტრუქციების ზუსტად დაცვა, კონტროლი თვითეული მუშაკის მუშაობაზე.

ხელმძღვანელობის კულტურა, — აი რა აკლიათ ელექტროსადგურების მუშაკებს. კულტურულად ხელმძღვანელობა ნიშნავს — იცნობდე ადამიანებს, იცოდე შენი საქმე ტექნიკურად და პოლიტიკურად. კულტურულად ხელმძღვანელობა ნიშნავს — ამოწმებდე და ასწავლიდე ადამიანებს მათს შეცდომებზე. ეს ნიშნავს — ბოლო მოუღო შემარიგებელ დამოკიდებულებას ავარიებისადმი, ჭუჭყისადმი, ხელსაწყოების გაფუჭებისადმი, ყველა ნაკლოვანებისადმი. შემოწმება უნდობლობა როდია. შემოწმება, სიზუსტის, სიფაქიზის, დავალებული საქმისადმი პასუხისმგებელი დამოკიდებულების მოთხოვნა—ეს მტრის სწრაფად გამოაშკარავების პირობაა.

ლაზარე მოსეს-ძე კაგანოვიჩის ბოლშევიკური ხელმძღვანელობით ჩვენი ენერგეტიკული მრეწველობა შეუდგა საზიზღარი მავნებლობის შედეგების ლიკვიდაციას. განახლებული და გარდაქმნილია არა მარტო „გლავენერგოს“ აპარატი, არამედ ადგილობრივ გამგეობათა, კომბინატთა, სადგურთა და ქსელთა ხელმძღვანელობაც. ახალი ადამიანები, რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ ხელმძღვანელობას, მეტწილად აღფრთოვანებული არიან მხურვალე სურვილით — გაამართლონ ის დიდი ნდობა, რომელიც მათ ხალხმა აღმოუჩინა. მაგრამ ამ ადამიანებს ესაჭიროებათ კიდევ საფუძვლიანად ისწავლონ და ისწავლონ. და უწინარეს ყოვლისა მათ უნდა ისწავლონ ბოლშევიზმი.

სამეურნეო ხელმძღვანელმა ნათლად უნდა შეიგნოს, რომ მისი უპირველესი ამოცანაა — დარაზმოს ადამიანები, შემჭიდროოს ისინი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, შექმნას მათგან ერთიანი მძლავრი კოლექტივი, რომელიც ყველაფერზე მაღლა აყენებს ჩვენი მშვენიერი სოციალისტური სამშობლოს ინტერესებს. საწარმოებში ადამიანების დარაზმვა — ეს ნიშნავს სათავეში ჩაუდგე სტახანოველებს, დანერგო მათი გამოცდილება, თვითეულ მუშას შეუქმნა პირობები სტახანოვური მუშაობისათვის. ჩვენი ელექტროსადგურების მუშათა მესამედზე მეტი — ესენი არიან სტახანოველები, რომლებიც მუშაობენ უავარიოდ, რომლებიც ნორმებს გადაჭარბებით ასრულებენ.

როდესაც ათასობით გვყავს ისეთი საუცხოო მუშაკები, ენერგეტიკის ოსტატები, სტახანოველები, როგორიც არიან ამხანაგები კოლბასა, გუსევი, (გამოტოვებულია) კალიაკინი და მრავალი სხვა, — ელექტროსადგურებზე ურიგდებიან შრომის დისციპლინის დარღვევის ყოვლად აღმაშფოთებელ შემთხვევებს. საკმარისია ითქვას, რომ 1937 წელს „მოსენერგოს“ სისტემაში აღრიცხულია... 111 შემთხვევა, როდესაც მუშაკებს ეძინათ ვახტზე ყოფნისას. „მოსენერგო“ კი ყველაზე უარესი სისტემა როდია. „აზენერგოში“ გასულ წელს აღრიცხულია ადმინისტრაციის განკარგულებათა შეუსრულებლობის 146 შემთხვევა. გადაჭრით გააუმჯობესონ შრომის დისციპლინა, სათავეში ჩაუდგნენ სტახანოვურ მოძრაობას, გაშალონ სერიოზული მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, — აი რით უნდა დაიწყონ სამეურნეო მუშაკებმა. შრომის დისციპლინისათვის ბრძოლა ავარიების თავიდან აცილების გადამწყვეტი წინაპირობაა. თვითეული ავარიის გულდასმით გამოძიება, იმ ადამიანების შესწავლა, რომლებსაც ამ ავარიაში ბრალი მიუძღვით, ავარიების წინააღმდეგ წინასწარი ზომების მიღება — აი ელექტროსადგურების ხელმძღვანელთა მუშაობის უმნიშვნელოვანესი კვანძი.

ჩვენი ელექტრომრეწველობის აწყობილი მუშაობისა და ავარიებთან წარმატებით ბრძოლის ერთერთი ძირითადი პირობაა მოწყობილობის გეგმიანი რემონტის ორგანიზაცია. ამისათვის საჭიროა შემოვიღოთ რემონტის გრაფიკი, სადგურები უზრუნველვყოთ სათადარიგო ნაწილებით, მოვაწყოთ სპეციალური სარემონტო სახელოსნოები, სწორად მოვაწყოთ რემონტზე მომუშავე პერსონალის შრომის ანაზღაურება.

ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობის დონის მხრივ, მოწყობილობის სირთულისა და კადრების მომზადების მხრივ ელექტროსადგურებს ყველა საფუძველი აქვთ დაიკავონ მოწინავე ადგილი მრეწველობაში. მათ არ შეუძლიათ, უფლება არა აქვთ ჩამორჩნენ, უფრო მეტი, ისინი მოვალენი არიან ჩვენი მრეწველობის ყველა დარგებს უჩვენონ შრომის მაღალი სოციალისტური კულტურის ნიმუში. თავისი შესაფერი მოწინავე ადგილი რომ დაიკავონ, თავიანთი საწარმოები ჩვენს ქვეყანაში ყველაზე კულტურულ საწარმოებად რომ გახადონ, საბჭოთა ენერგეტიკის მუშაკებმა თავიანთ წრეში უნდა დანერგონ პატივისცემა ტექნიკისადმი, მოწყობილობისადმი, ბოლო მოუღონ ტექნიკურ უსუფთაობასა და უკულტურობას.

პირველხარისხოვანი როლი, რომელიც უფლებით ეკუთვნის ელექტროფიკაციას, ჩვენი ენერგეტიკოსებისაგან მოითხოვს, რათა მათ დაიკავონ მოწინავე პოზიციები ახალი ტექნიკისათვის ბრძოლაში. ტურბინებისა და ქვაბების მშენებლობა ჩვენში ჯერ კიდევ ჩამორჩება, და ენერგეტიკული მეურნეობის მუშაკები მოვალენი არიან მთელი ბოლშევიკური მგზნებარებით ცდილობდნენ დანერგონ წარმოებაში მოწყობილობის ყველაზე სრულყოფილი სახეები.

ელექტროსადგურებისა და ქსელების მუშაკთა სრულიად-საკავშირო თათბირის მიმართვაში, რომელიც გუშინ „პრავდაში“ გამოქვეყნდა, ნათქვამია: „ელექტროსადგურები მოვალენი არიან მისცენ ჩვენს აყვავებულ ქვეყანას იმდენი ელექტროენერგია, რამდენიც საჭირო იქნება“. თათბირმა ენერგეტიკოსების სახელით ჩვენი ქვეყნის წინაშე დიდი ვალდებულებანი იკისრა. ახლა დაპირებანი დამტკიცებულ უნდა იქნას პრაქტიკული საქმეებით.

ჩვენი სოციალისტური ქვეყნის ელექტროფიკაციის ლენინურ-სტალინური პროგრამით შეიარაღებულმა, ბოლშევიკური პარტიის სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით შემჭიდროვებულმა ელექტროსადგურებისა და ქსელების მუშაკებმა ახლა გაორკეცებული ძალით უნდა მოჰკიდონ ხელი ენერგეტიკული მრეწველობის ახალ აღმავლობას. მთელი ქვეყანა დაეხმარება მათ ამ გზაზე ახალი დიდი წარმატებების მიღწევაში.

„პრავდის“ მოწინავე, 25/III

მოდრეიფე სადგურ „ჩრდილოეთის პოლუსის“ მეზამთრენი მიღებაზე კრემლში 1938 წლის 17 მარტს. სხედან მაგიდასთან (მარჯვნიდან მარცხნივ): ნ. ჩ. კრენკელი და კლარა პაპანინა. პირველ რიგში: დ. ნ. პაპანინი (მამა), ი. დ. პაპანინი, ი. ბ. სტალინი, გ. კ. პაპანინა, ა. ვ. ფედოროვა, კ. ნ. ფედოროვი (მამა), ე. კ. ფედოროვი, ი. ი. შირშოვა (დედა), ნ. დ. შირშოვა, მეორე რიგში: ე. ტ. კრენკელი, მ. ნ. კრენკელი (დედა), ი. მ. მოსკვინი, მ. ვ. ვოდოპიანოვი, ს. ა. ფედოროვა (დედა), პ. პ. შირშოვი (მამა) და პ. პ. შირშოვი. (გადაღებულია 1938 წ. 17 მარტს).

ფოტო ი. ხალიპის („სოიუზფოტო“).

ელსადგურთა და ელექტრონის ქსელის მუშაკთა სრულიად-საკავშირო თათბირი

ამხანაგ ლ. მ. კაგანოვიჩის გამოსვლა

14-დან 20 მარტამდე მძიმემრეწველობის სახალხო კომისარიატში მიმდინარეობდა მძიმემრეწველობის ელსადგურთა და ელექტრონის ქსელის მუშაკთა პირველი სრულიად-საკავშირო თათბირი, რომელშიც მონაწილეობდა 200 მეტი კაცი — ენერგოსისტემების გამგეები, ელსადგურების დირექტორები, საამქროების უფროსები, „გლავენერგოს“ და საქარხნო ცენტრალური ელსადგურთა სტახანოველები, პარტიული და პროფკავშირული მუშაკები. თათბირზე იყვნენ აგრეთვე მანქანათმშენებლობისა და იმ ქარხნების წარმომადგენლები, სადაც ელსადგურების მოწყობილობა მზადდება.

თათბირი ჩატარდა მისი მონაწილეების დიდი აქტივობით. სიტყვებით გამოვიდა 72 კაცი (მოკლე ცნობები თათბირის შესახებ გამოქვეყნდა „პრავდის“ 15, 16, 17, 18 და 20 მარტი ნომრებში).

საბოლოო სხდომაზე 20 მარტს დიდი სიტყვით გამოვიდა მძიმემრეწველობის სახალხო კომისარი ამხანაგი ლ. მ. კაგანოვიჩი, რომელსაც გულ თბილად შეხვდნენ თათბირის მონაწილენი. თავის სიტყვაში სახალხო კომისარმა დაწვრილებითი ანალიზი გაუკეთა ელსადგურებისა და ქსელის მუშაობას და განმარტა ამოცანები, რომლებიც ახლა ენერგეტიკული მრეწველობის ყველა მუშაკის წინაშე სდგას.

სახალხო კომისარმა აღნიშნა ენერგეტიკის განსაკუთრებული მნიშვნელობა სახალხო მეურნეობისათვის. ლენინი და სტალინი მუდამ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ საბჭოთა ქვეყნის ელექტროფიკაციას. ლენინმა „გოელროს“ გეგმას პარტიის მეორე პროგრამა უწოდა. სტალინმა თავის წერილში ლენინისადმი მოგვცა „გოელროს“ გეგმის ისტორიული მნიშვნელობის ბრწყინვალე ანალიზი. პირველი და მეორე ხუთწლედების განმავლობაში ჩვენი ენერგეტიკა უდიდესად განვითარდა. 1928 წელთან შედარებით, ელექტროენერგიის წარმოება ერთიშვიდად გადიდდა. ასეთ ტემპებს მსოფლიოში არცერთი ქვეყანა არ მოსწრებია. ენერგეტიკული მრეწველობის მუშაკებს უფლება აქვთ იამაყონ ამ უდიდესი მიღწევებით.

ამხანაგი ლ. მ. კაგანოვიჩი დაწვრილებით ჩერდება მავნებლობის შედეგთა ლიკვიდაციის საკითხზე. ანალიზს უკეთებს რა მთელ რიგ მავნებლურ აქტებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ ელექტროსადგურებზე, ამხანაგი კაგანოვიჩი ხაზს უსვამს, რომ მავნებლობის თავიდან ასაცილებლად საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, ბოლშევიკური წესრიგის დამყარება სადგურებსა და ქსელებში. სიტყვაში დიდი ყურადღება ჰქონდა დათმობილი ავარიების ლიკვიდაციის, რემონტის სწორად მოწყობის, სარემონტო მოწყობილობის გაცდენის შემცირებისა და დისციპლინის დარღვევასთან ბრძოლის საკითხებს. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სადგურებში მომუშავე ადამიანთა პოლიტიკურ აღზრდას. ენერგეტიკის მუშაკებმა უნდა შეიგნონ, რომ სადგური — ეს სამრეწველო რაიონის გულია. ეს ქარხანა როდია, მაღარო როდია — ეს არის ასი ქარხანა, ასი მაღარო, ასობით გაჩირაღდნებული ქუჩები, ათობით ტრამვაის ხაზები, ათასობით განათებული ბინები და ა. შ. ელექტროსადგურებისა და ქსელების მეთაურები ვალდებული არიან აღზარდონ მუშებში მოწყობილობის მდგომარეობისათვის, ენერგიის შეუფერხებელი მიწოდებისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა. ფართოდ უნდა გავშალოთ ენერგეტიკაში სტახანოვური მოძრაობა, ამასთან მხედველობაში უნდა მივიღოთ ელექტროსადგურებში სტახანოვური მუშაობის სპეციფიკა — მუშაკების დაქსაქსულობა აგრეგატებს შორის: ცეცხლფარეში — ქვაბთან, მემანქანე — ტურბინთან, მორიგე — ფართან. ეს განსაკუთრებით ელექტროქსელს ეხება.

სტახანოველები, რომელთა რიცხვი ცოტა როდია ელექტროსადგურებსა და ელექტროქსელებში, ჯერ კიდევ არ არიან დარაზმულნი ისეთ კოლექტივად, რომ ისინი დისციპლინის განმტკიცებისათვის, ნამდვილად კულტურული მუშაობისათვის ბრძოლის ორგანიზატორები გახდნენ და გაიყოლიონ ყველა დანარჩენი მუშაკი. ამის გამო ინდივიდუალურად კარგად მომუშავე მრავალ ცეცხლფარეშთან, მემანქანისთან ფარების მორიგეებთან და სხვებთან ერთად, — ელექტროსადგურებში მოიპოვებიან ინდივიდუალურად ცუდად მომუშავე მუშაკები, რომლებიც დისციპლინას არღვევენ.

ამხანაგი კაგანოვიჩი აღნიშნავს ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ხელმძღვანელ როლს სტახანოვური მოძრაობის შემდგომ გაშლაში. ელექტროენერგეტიკული მრეწველობა უფრო მეტად არის უზრუნველყოფილი ინჟინერ-ტექნიკური კადრებით, ვიდრე მძიმე მრეწველობის სხვა დარგები. ეს კადრები უფრო სწრაფად უნდა დაეუფლონ ორგანიზატორულ ჩვევებს და სათავეში უნდა ჩაუდგნენ სტახანოვურ მოძრაობას. შეეხო რა მთელ რიგ ორგანიზაციულ-ტექნიკურ საკითხებს, ამხანაგი კაგანოვიჩი შეჩერდა ელექტროენერგიის განაწილებისა და გამორთვაში წესრიგის აუცილებლობის საკითხებზე, რაზედაც მიგვითითებდა სახალხო კომისართა საბჭო, და ხაზი გაუსვა ენერგოტექნიკოსების დიდ პასუხისმგებლობას ელექტროენერგიით სწორი და დროიანი მომარაგებისათვის.

ენერგეტიკული მრეწველობის მუშაკთა წინაშე დიდი ამოცანებია დასმული კაპიტალური მშენებლობის დარგში. წელს კაპიტალური სამუშაოებისათვის გადადებულია 1.018 მილიონი მანეთი — ერთიორად მეტი, ვიდრე ფაქტიურად დაიხარჯა გასულ წელს. ასიგნობანი გადადებულია ისეთი ანგარიშით, რომ მაქსიმალურად შემცირდეს მოწყვეტილობა ტექნოლოგიური მოწყობილობის სხვადასხვა რგოლს შორის. ენერგეტიკული მრეწველობის ხელმძღვანელები, რომლებიც წლის დამდეგს კიდევ უფრო მეტ სახსრებს მოითხოვდნენ, ვალდებული არიან მთელი ძალღონე იხმარონ, რომ მშენებლობისათვის გადადებული ფული აითვისონ.

შეეხო რა ენერგეტიკული მშენებლობის განვითარების პერსპექტივებს, სახალხო კომისარმა აღნიშნა, რომ მესამე ხუთწლედში ყველა ძირითად ენერგოსისტემაში სიმძლავრეთა რეზერვები უნდა შეიქმნას. დიდ ელექტროსადგურებთან ერთად აშენებული იქნება საშუალო და პატარა თბო და ჰიდროსადგურები. დიდი მუშაობა მოგველის ახალი ტექნიკის, ახალი მოწყობილობის დანერგვის საქმეში — პარტია და მთავრობა ზომებს იღებენ, რათა განვითარდეს სათბობის ადგილობრივი ბაზა ელექტროენერგიის საწარმოებლად.

ამხანაგმა კაგანოვიჩმა მოუწოდა ენერგეტიკული მრეწველობის ყველა მუშაკს ფართოდ გაშალონ სტახანოვური მოძრაობა, მძიმე ინდუსტრიის მოწინავე უბნად გადააქციონ ენერგეტიკული მეურნეობა.

თათბირმა მოიწონა კომისიის პრაქტიკული წინადადებები და გადასცა ისინი როგორც მასალა სახალხო კომისრის ბრძანებებისათვის.

თათბირმა მიიღო მოწოდება ელექტროსადგურებისა და ელექტროქსელთა ყველა მუშაკის მიმართ.

ტაშის გრიალითა და „ვაშას“ შეძახილებით იქნა მიღებული წინადადება ხალხთა ბელადის ამხანაგ სტალინისათვის მისალმების გაგზავნის შესახებ.

(„პრავდა“, 23 მარტი)

დიდი მადლობა ჩვენს ქვეყანას

მძლავრი სოციალისტური სახელმწიფოს ნება-სურვილი, მისი დავალებანი არ შეიძლება შესრულდეს აღფრთოვანებლად, ბოლშევიკური სიმტკიცის გარეშე. ყველგან და ყოველთვის საბჭოთა ადამიანები მხურვალედ ჰხვდებიან საყვარელი სამშობლოს, პარტიის, მთავრობის, ამხანაგი **სტალინის** ყოველ მოწოდებას. ენტუზიაზმითა და მღელვარებით მივემგზავრებოდით ჩვენ გრენლანდიის ცივ ზღვაში, და საპატიო მიზნად გვქონდა ჩვენი სახელოვანი გმირების, ცენტრალური პოლარული აუზის გულადი მკვლევარების ამხანაგ პაპანინის, შირშოვის, კრენკელისა და ფედოროვის ყინულიდან გადმოყვანა და მშობლიურ ნაპირებზე გადმოსმა. სიხარულით ვუპატაკეთ ჩვენ სტალინის დავალების შესრულების შესახებ.

და ახლა, მივიღეთ რა უმაღლესი ჯილდო, ჩვენ ვამბობთ:

— დიდი მადლობა ჩვენს ქვეყანას, მთავრობას, დიდ სტალინს! ყოველ საათში, ყოველ წუთში ჩვენ წავიყვანთ საზღვაო და საჰაერო გემებს იმ კურსით, რომელსაც გვიჩვენებს ჩვენი სამშობლო, ჩვენი **სტალინი**.

ბარსუკოვი
კოტცოვი
ულიანოვი
ოსტალცევი
ვლასოვი

საბჭოთა კავშირის გმირების — ამხ. პაპანინისა და ფედოროვის გამოსვლის ტრანსლაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 24 მარტი (საკდეს). 23 მარტს ამერიკის შეერთებული შტატების სადგურ „კოლუმბია ბროდკესტინგ სისტემის“ საშუალებით გადაცემულ იქნა საბჭოთა კავშირის გმირების პაპანინისა და ფედოროვის სიტყვები მოსკოვიდან. პაპანინმა და ფედოროვმა ილაპარაკეს სამეცნიერო მუშაობის შესახებ, რომელსაც ისინი ეწეოდნენ მოდრეიფე ყინულზე, და მიესალმნენ ამერიკის შეერთებული შტატების რადიომსმენელებს.

ტრანსლაცია დაიწყო 17 საათსა და 45 წუთზე ნიუ-იორკის დროით და გრძელდებოდა 15 წუთს.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

კინოფილმების — „ლენინი ოქტომბერში“, „პეტრე პირველი“ და „მდიდარი სარძლოს“ იმ მუშაკთა დაჯილდოების შესახებ, რომელთაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი.

საუკეთესო კინოფილმების — „ლენინი ოქტომბერში“, „პეტრე პირველი“ და საკოლმეურნეო ფილმის „მდიდარი სარძლოს“ გამოშვებასთან დაკავშირებით, რომლებმაც მაყურებელთა ერთსულოვანი მოწონება მოიპოვეს, დაჯილდოებულ იქნან ის რეჟისორები, სცენარისტები, მსახიობები, მემონტაჟეები და სტახანოველი მუშები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი.

ლენინის ორდენით:

1. **ბ. ვ. შჩუკინი**—მსახიობი, ვ. ი. ლენინის როლის შემსრულებელი კინოსურათში „ლენინი ოქტომბერში“
2. **მ. ი. რომი** — რეჟისორი კინოსურათისა „ლენინი ოქტომბერში“
3. **ა. ი. კაპლერი**—კინოსურათის „ლენინი ოქტომბერში“ სცენარის ავტორი
4. **ა. ნ. ტოლსტოი**—კინოსურათის „პეტრე პირველის“ სცენარის ავტორი
5. **ვ. მ. პეტროვი**—კინოსურათის „პეტრე პირველის“ სცენარის რეჟისორი და თანაავტორი
6. **ნ. კ. სიმონოვი** — მსახიობი, პეტრე პირველის როლის შემსრულებელი
7. **ი. ა. პირიევი** — კინოსურათის „მდიდარი სარძლოს“ რეჟისორი.

შრომის წითელი დროშის ორდენით:

1. **მ. ი. ჟაროვი** — მსახიობი, მენშიკოვის როლის შემსრულებელი კინოსურათ „პეტრე პირველში“
2. **ნ. კ. ჩერკასოვი** — მსახიობი, ალექსის როლის შემსრულებელი კინოსურათ „პეტრე პირველში“
3. **ნ. პ. ოხლოპკოვი** — მსახიობი, ვასილის როლის შემსრულებელი კინოსურათში „ლენინი ოქტომბერში“.
4. **ბ. ი. ვოლჩეკი** — ოპერატორი კინოსურათისა „ლენინი ოქტომბერში“.
5. **ვ ვ. გარდანოვი** — ოპერატორი კინოსურათისა „პეტრე პირველი“
6. **ნ. გ. სუვოროვი**—კინოსურათის „პეტრე პირველის“ მხატვარი
7. **ა. დ. ერმოლოვი** — მხატვარი-მეგრიმე კინოსურათისა „ლენინი ოქტომბერში“.
8. **ე. მ. პომეშჩიკოვი**—კინოსურათის „მდიდარი სარძლოს“ სცენარის ავტორი.
9. **ბ. ბეზგინი** — მსახიობი, ტრაქტორისტ ზგარის როლის შემსრულებელი კინოსურათ „მდიდარ სარძლოში“
10. **მ. ა. ლადინინა** — მსახიობი, „მდიდარი სარძლოს“ როლის შემსრულებელი.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით:

1. **ა. კ. ტარასოვა** — მსახიობი, ეკატერინეს როლის შემსრულებელი კინოსურათ „პეტრე პირველში“, წინათ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებული
2. **ვ. ა. კუზნეცოვი** — შუქის საქმის ტექნიკური ხელმძღვანელი კინოსურათში „ლენინი ოქტომბერში“
3. **ნ. გ. პეტროვა** — კინოსურათის „ლენინი ოქტომბერში“ ნეგატივის მემონტაჟე
4. **ი. ი. ავდეევი** — კინოსურათის „ლენინი ოქტომბერში“ დეკორაციების საქმის მუშა-დურგალი
5. **ზ. ი. ზალკინდი** — კინოსურათის „პეტრე პირველის“ გახმოვანების ოპერატორი
6. **ი. ა. ლიუბეზნოვი** — მსახიობი, მოანგარიშის როლის შემსრულებელი კინოსურათ „მდიდარ სარძლოში“
7. **ა. მ. დმოხოვსკაია** — მსახიობი, ბრიგადირის როლის შემსრულებელი კინოსურათ „მდიდარ სარძლოში“
8. **ა. ანტონოვი** — მსახიობი, ბრიგადირის როლის შემსრულებელი კინოსურათ „მდიდარ სარძლოში“

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით:

1. **მ. ი. სტეფანოვი** — კინოსურათის „ლენინი ოქტომბერში“ სტახანოველი დურგალი
2. **კ. გ. ბურმისტროვი** — კინოსურათის „ლენინი ოქტომბერში“ ცვლადი ოსტატი
3. **მ. ი. პერესლეგინა** — კინოსურათის „ლენინი ოქტომბერში“ მემონტაჟე
4. **ნ. პ. კერტენსი** — კინოსურათის „პეტრე პირველის“ გახმოვანების ოპერატორი
5. **მ. პ. მარტიშკინა** — კინოსურათის „პეტრე პირველის“ გამომჭრელი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი
1938 წ. 23 მარტი.

მხოლოდ წინ! მხოლოდ გამარჯვებანი!

ჩვენ ღრმა მღელვარებას განვიცდით.

არ არსებობს სიტყვები, რათა გამოვხატოთ მადლობა ბოლშევიკების პარტიისადმი, მთავრობისადმი, საყვარელი მეგობრის, ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისადმი არქტიკის ყინულებში ჩვენი მუშაობის მაღალი შეფასებისათვის.

სამშობლოვ!

ჩვენ, შენი ერთგული შვილები, შემოგფიცავთ, რომ კვლავადაც თავდადებით შევასრულებთ შენს წმინდა სურვილს.

მხოლოდ გამარჯვებანი! მხოლოდ წინ! ასეთია დევიზი საბჭოთა ადამიანებისა, ბოლშევიკებისა, ძლიერი სოციალისტური სამშობლოს პატრიოტებისა, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის მოწაფეებისა!

საბჭოთა კავშირის გმირი ი. დ. პაპანინი.
საბჭოთა კავშირის გმირი ე. თ. კრენკელი.
საბჭოთა კავშირის გმირი პ. პ. შირშოვი
საბჭოთა კავშირის გმირი ე. კ. ფედოროვი.

ელექტროსადგურებისა, ქსელებისა და ენერგოსისტემის ყველა მუშასა, ინჟინერსა, ტექნიკოსსა და ყველა მუშაკს

მიმართვიდან მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის ელექტროსადგურებისა და ქსელების მუშაკთა სრულიად-საკავშირო თათბირისა, რომელიც შესდგა ქ. მოსკოვში 1938 წლის 14—20 მარტს.

ამ მიმართვაში ჩვენ, თათბირის მონაწილენი, მთელი ბოლშევიკური პირდაპირობით ვაცხადებთ, რომ სტალინური მეორე ხუთწლედის წელთა განმავლობაში რაიონული ელექტროსადგურების სიმძლავრის გაორკეცების მიუხედავად, მოწინავე ტექნიკით აღჭურვილ ახალ მძლავრ ელექტროცენტრალთა ამუშავების მიუხედავად, ელექტროსადგურები დღემდე არადამაკმაყოფილებლად განაგრძობენ მუშაობას. 1937 წლის განმავლობაში ელექტრო ენერგიის გამომუშავების სახელმწიფო გეგმა მხოლოდ 89,4 პროცენტით არის შესრულებული. „გლავენერგოს" ელექტროსადგურებმა 1937 წელს ზედმეტად დასწვეს 580 ათასი ტონა პირობითი საწვავი და ნორმის გადაჭარბებით დახარჯეს თავიანთი საჭიროებისათვის 173 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია.

დიდია ავარიანობა ელექტროსადგურებსა და ელექტროქსელებში, განსაკუთრებით ისეთი, რაშიც ბრალი მიუძღვის მომსახურე პერსონალს. ამა წლის პირველი ორი თვის განმავლობაში ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ მკვეთრ გარდატეხას ჩვენს მუშაობაში.

ელექტროსადგურების მუშაკებმა ჯერ კიდევ ვერ შეასრულეს გადაწყვეტილებანი საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმისა (1935 წ.), რომელმაც გვიჩვენა ენერგომეურნეობაში სტახანოვური მოძრაობის განვითარების გზები, ენერგეტიკის მეთაურები ჯერ კიდევ ვერ გახდნენ სტახანოველთა ნამდვილი ორგანიზატორები და ხელმძღვანელები.

სამეურნეო მუშაკებს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს, პარტიულსა და პროფკავშირულ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ არ გამოუტანიათ საჭირო დასკვნები ამხანაგ სტალინის მიერ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1937 წლის თებერვალ-მარტის პლენუმზე მოცემული მითითებებიდან და ხელი არ მოუკიდნიათ, როგორც საჭიროა, იაპონია-გერმანიის ტროცკისტ-ბუხარინელ-რიკოველ ჯაშუშთა და დივერსანტთა მავნებლობის შედეგების ლიკვიდაციისათვის.

ამხანაგო ენერგეტიკოსებო!

ჩვენ ვმუშაობთ მძიმე ინდუსტრიის უმნიშვნელოვანეს უბანზე. ელექტროსადგურები სახალხო მეურნეობის გულია. ტროცკისტ-ბუხარინელ-რიკოველი ჯაშუშები და დივერსანტები, ყველა ფაშისტურ დაზვერვათა აგენტები ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკული ბაზისათვის, შეესუსტებინათ სოციალისტური სამშობლოს დაცვითი ძალა. მაგრამ მტრები მოსტყუვდნენ. კრახის ბუდეები, რომლებიც მათ მოაწყეს, დაშლილია და ფაშისტი მახინჯები განადგურებული არიან. ფხიზლად ვიყოთ! ბოლომდე ამოვფხვრათ მავნებლობის ნაშთები და ჩვენი ქვეყნის მთელი ხალხის დახმარებით აღვგავოთ პირისაგან ჩვენი მშობლიური საბჭოთა მიწისა გამყიდველი ტროცკისტ - ბუხარინელი ჯაშუშები. მაგრად დავუკეტოთ ჩვენი ელექტროსადგურების კარები ხალხის მტრებს.

ჩვენ, თათბირის მონაწილენი, მოვუწოდებთ ენერგეტიკის ყველა მუშაკს გაბედულად მოჰკიდონ ხელი მავნებლობის შედეგთა სასწრაფო ლიკვიდაციას და მასობრივი სტახანოვური მოძრაობის გაჩაღებას ელექტროსადგურებსა და ქსელებში.

ჩვენ ყველა პირობა მოგვეპოება იმისათვის, რომ მთლიანად და გადაჭარბებითაც შევასრულოთ 1938 წლის გეგმა. ელექტროსადგურებში დღემდე არ არის გამოყენებული უდიდესი რეზერვები სათბობისა და ელექტროენერგიის ეკონომიისათვის. ტექნოლოგიური მოწყობილობის ცალკეულ ელემენტებს შორის მოწყვეტილობის თავიდან აცილებას შეუძლიან დამატებით მისცეს წელს ქვეყანას 144,8 ათასი კილოვატი.

ძირითადი მოწყობილობის გამოყენება შეიძლება გადიდებულ იქნას რემონტებსა და რევიზიებში მოწყობილობის გაცდენის შემცირების გზით, ჰიდროსადგურების მაქსიმალური გამოყენებით, მომხმარებელთა დატვირთვის გრაფიკის გამოსწორებით.

ენერგეტიკას მრავლად მოეპოვება შემოწმებული და ლენინ-სტალინის პარტიისათვის თავდადებული მუშაკი. ჩვენ უნდა დავემყაროთ მოწინავე ადამიანებს და ბოლო მოვუღოთ ავარიანობას, მოვაწყოთ გამართულობის რემონტი გრაფიკის ზუსტად დაცვით, მოვსპოთ ნაკლოვანებანი შრომის ორგანიზაციაში, მკვეთრად განვამტკიცოთ დისციპლინა და ენერგეტიკის თვითეული მუშაკის პასუხისმგებლობა ელექტროსადგურთა მუშაობისათვის, ელექტროენერგიით მომხმარებელთა შეუფერხებელი მომარაგებისათვის.

მიმართვა მოუწოდებს **საექსპლოატაციო დარგის მუშაკებს** სავსებით მოსპონ ავარიები და მოწყობილობის მოცდენა, დადგენილ ვადაზე შეასრულონ ავარიის საწინააღმდეგო ღონისძიებანი, დააწესონ და სასტიკად დაიცვან წესიერი, უაღრესად სასარგებლო მუშაობის რეჟიმი, რომელიც უზრუნველჰყოფს მოწყობილობის მაქსიმალურ ნაყოფიერებას და შეუფერხებელ მომარაგებას ენერგიით.

მიმართვა მოუწოდებს **რემონტის მუშაკებს** მაღალხარისხოვნად, გრაფიკის ზუსტი დაცვით აწარმოონ რემონტი. რემონტში მოწყობილობის მოცდენის ვადები შემცირებულ უნდა იქნას არანაკლებ 10 პროცენტისა შარშანდელთან შედარებით.

ამხანაგო ცეცხლფარეშებო, — ნათქვამია მიმართვაში, — დროა ბოლო მოეღოს საქვაბე აგრეგატების ავარიებს არაწესიერი ექსპლოატაციის, ორთქლის არანორმალური გადახურების, ქვაბების ზედმეტად გავსების, წყლის გასვლისა და სხვ. გამო, ნუ დაუშვებთ საწვავის ზედმეტ ხარჯვას! დაეუფლეთ ქვაბების ექსპლოატაციის ტექნიკას გრაფიკის თანახმად მუშაობის უმეტესი ეკონომიური რეჟიმით, ამავე დროს მაქსიმალურად გამოიყენეთ საზომი ხელსაწყოები.

მიმართვა მოუწოდებს **მეტურბინეებს** უზრუნველჰყონ ტურბინებისა და საკონდენსაციო აგრეგატების წესიერი მოვლა, დაეუფლონ ტურბინების გამოყენების ტექნიკას განაწილებისა და დატვირთვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი რეჟიმით, დაიცვან ყველაზე უფრო ხელსაყრელი ვაკუუმი.

ამხანაგო ელექტრიკოსებო! — ნათქვამია მიმართვაში — მიაღწიეთ იმას, რომ ელექტრომოწყობილობამ უმცირესი დანაკარგებით იმუშაოს. ნუ დაუშვებთ ავარიებს გადართვის დროს პერსონალის შეცდომის გამო, ექსპლოატაციისა და უშიშროების ტექნიკის წესების დარღვევის გამო. სამაგალითოდ სუფთად შეინახეთ ელექტრომოწყობილობა და ელექტროაპარატურა.

ამხანაგებო — ელექტროქსელთა და ქვესადგურთა მუშაკებო!

მავნებლებმა, რომლებიც ენერგეტიკის დარგში მოკალათებული იყვნენ, გარღვევა შექმნეს ენერგიის წარმოებასა და მაღალვოლტიანი და კაბელიანი ქსელების გამტარუნარიანობას შორის. ზოგიერთ ელექტროსადგურს გადამცემი ხაზების უქონლობისა ან ამ ხაზების გამტარუნარიანობის სიმცირის გამო არ შეუძლიათ ამჟამად მთლიანად გამოიყენონ თავიანთი სიმძლავრე. თქვენი ამოცანაა შიაღწიოთ არსებული ქსელებისა და ქვესადგურების მაქსიმალურ გამოყენებას, მათს უავარიო მუშაობას. მოაწყეთ გეგმიანი გამაფრთხილებელი რემონტი გრაფიკის ზუსტად დაცვით. სავსებით აიცილეთ თავიდან ავარიის კერები ქსელებში: მომჭიდრებისა, იზოლატორებისა, მილაკუნების, ტრანსფორმატორების და სხვა დეფექტები.

ქსელის მუშაკებმა მაქსიმალურად უნდა შეამცირონ ელექტროენერგიის დანაკარგი ქსელებში: აწარმოეთ ტრანსფორმატორებისა და ქსელების მუშაობა ყველაზე უფრო ხელსაყრელი რეჟიმით, სავსებით გამოიყენეთ საკომპენსაციო მოწყობილობანი ქვესადგურებზე, მიაღწიეთ სრულს უავარიობას ელექტრომოწყობილობის მომსახურებისა და გადართვის დროს.

ზედენთაგან და ჭექა-ქუხილისაგან დაცვის მუშაკებს მიმართვა მოუწოდებს მიაღწიონ დასაცავ მოწყობილობათა ზუსტ, უნაკლო, წესიერ და სელექციურ მუშაობას, რემონტების პერიოდში ჩაატარონ დასაცავ მოწყობილობათა რეკონსტრუქცია, გამოცდა და აწყობა, თავის დროზე მოამზადონ ჭექა-ქუხილის სეზონისათვის და განახორციელონ ყველა საჭირო მუშაობა. ჭექა-ქუხილის დროს ქსელები უავარიოდ უნდა მუშაობდნენ.

ამხანაგო მეთაურებო — ინჟინერ-ტექნიკურო მუშაკებო! იყავით სტახანოვური მოძრაობის ორგანიზატორები. პირადი მაგალითით უჩვენეთ დისციპლინიანობისა და მონდობილი საქმისადმი მაღალპასუხისმგებლური მოპყრობის ნიმუშები. დაეყრდენით მოწინავე მუშა-სტახანოველებს და სანიმუშო ბოლშევიკური წესრიგი დაამყარეთ ელექტროსადგურებსა და ქსელებში. უზრუნველჰყავით ელექტროსადგურებისა და ქსელების მუშაობა, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმისა.

ამხანაგებო — სამრეწველო ელექტროსადგურების მუშაკებო! თქვენი სადგურების მუშაობა მრეწველობის ელექტრომომარაგებას აუმჯობესებს. „გლავენერგოს" ელექტროსადგურებთან საერთო მუშაობით ეცადეთ საუკეთესო მომსახურება გაუწიოთ მომხმარებელთ. სასტიკად დაიცავით დისპეტჩერული დისციპლინა, როდესაც ელექტროსისტემის დატვირთვის გრაფიკის რეგულირება ხდება. უზრუნველჰყავით მოწყობილობის რემონტის ზუსტი შესრულება თქვენთვის დადგენილ ვადებში. აამაღლეთ ექსპლოატაციის კულტურა, გამოიყენეთ „გლავენერგოს" მოწინავე ელსადგურების გამოცდილება და მიღწევანი. მიაღწიეთ უავარიო მუშაობასა და გეგმის შესრულებას ყველა მაჩვენებლებით. გახსოვდეთ, რომ თქვენ მუშაობაზედაც ბევრითაა დამოკიდებული მრეწველობის გეგმის შესრულება.

ამხანაგებო, ფაბრიკების, ქარხნების, მაღაროების, კომუნალური და სოფლის მეურნეობის მუშაკებო, ამხანაგო მომხმარებლებო, — ელექტროენერგია უმნიშვნელოვანეს ბერკეტს წარმოადგენს ჩვენი სოციალისტური მეურნეობის განვითარებისათვის.

ჩვენ მოგიწოდებთ, რომ გადაჭრით შეუდგეთ ელექტროენერგიის ეკონომიის დაცვას, ენერგიის ხელგაშლით ხარჯვის შეწყვეტას. თქვენ წესრიგი უნდა დაამყაროთ თქვენს საწარმოთა ელექტრომეურნეობაში, მოსპოთ აგრეგატების ფუჭი სვლა, მოხსნათ მოტორების ზედმეტი სიმძლავრე, აამაღლოთ დანადგართა კოსინუს ფი და მკვეთრად შეამციროთ ელექტროენერგიის დანაკარგი.

ამხანაგებო, ელექტროსადგურებისა და ელექტროქსელის მუშაკებო! ლენინ-სტალინის ჩვენი დიადი პარტია, ჩვენი საბჭოთა მთავრობა უდიდეს ყურადღებასა და დახმარებას გვიწევენ ჩვენ. ჩვენი დიდი ბელადი და მასწავლებელი — ამხანაგი სტალინი — ყოველდღიურად ადევნებს თვალყურს ჩვენს მუშაობას, ზრუნავს და გვეხმარება ჩვენ. ეს ჩვენ დიდ მოვალეობას გვაკისრებს. ენერგეტიკოსთა პასუხისმგებლობა სახალხო მეურნეობის წინაშე, ჩვენი სამშობლოს წინაშე ამჟამად ისე დიდია, როგორც არასოდეს.

ელექტროსადგურებს ევალებათ იმდენი ელექტროენერგია მისცენ ჩვენს ქვეყანას, რამდენიც მას დასჭირდება. ჩვენ შევასრულებთ საყვარელი სტალინური სახკომის—ლ. მ. კაგანოვიჩის მიერ ჩვენს წინაშე დასმულ ამოცანას და უმოკლეს ვადაში ჩავაყენებთ ენერგეტიკას სახალხო მეურნეობის მოწინავეთა რიგებში.

მთელი სიფართით გავშალოთ სტახანოვური მოძრაობა! მაღლა აღვმართოთ სოციალისტური შეჯიბრების დროშა! შევასრულოთ 1938 წლის გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით! უზრუნველვყოთ ახალი აღმავლობა ელექტროსადგურების მუშაობაში!

ჩვენი სოციალისტური ქვეყნის ენერგეტიკა მთელ სახალხო მეურნეობასთან ერთად სწრაფი ტემპებით ვითარდება, — მარტო უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ელექტროსადგურების სიმძლავრე თითქმის ერთიოთხად გაიზარდა, „გოელროს" გეგმა ორნახევარჯერ გადაჭარბებით არის შესრულებული.

დიდმა ბელადებმა ვ. ი. **ლენინმა** და ამხანაგმა **სტალინმა** ჯერ კიდევ 1921 წელს გენიალური გამჭრიახობით შეაფასეს ელექტროფიკაციის გეგმა, როგორც ჩვენი კომუნისტური პარტიის მეორე პროგრამა იმ დროს ტექნიკურად და ეკონომიურად ჩამორჩენილი ჩვენი ქვეყნის მოწინავე, მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ გარდასაქმნელად.

ლენინ-სტალინის დიადი იდეები განხორციელებულია, ჩვენი სამშობლო ელექტროფიკაციის საფუძველზე მძლავრ ინდუსტრიულ ქვეყნად გადაიქცა.

1938 წელს პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულია ელექტროსადგურთა სიმძლავრის შემდგომი უდიდესი ზრდა და რეზერვების შექმნა.

წინ, სოციალისტური ელექტროფიკაციის შემდგომი აყვავებისაკენ ლენინ-სტალინის პარტიის დროშით!

ელექტროსადგურთა და ელექტროქსელის მუშაკთა სრულიად-საკავშირო თათბირი.

სოციალისტურ შეჯიბრებას ასე არ უნდა ხელმძღვანელობდნენ

სოციალისტური შეჯიბრება თესვის მზადების გადამწყვეტი პირობაა. მაგრამ კასპის რაიონში ჯერჯერობით ამას არ ითვალისწინებენ.

სოფ. ზ.-ჩოჩეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ლ. ფეიქრიშვილმა შეკითხვაზე განაცხადა, მართალია მოლაპარაკება გვქონდა, მაგრამ სოციალისტური შეჯიბრება კოლმეურნეობაში არა გვაქვსო.

კასპის კოლმეურნეობას მრავალი წევრი ჰყავს. იგი 135 კომლს აერთიანებს. კოლმეურნეობის წევრთა შორის სოციალისტური შეჯიბრების გაშლა ხელს შეუწყობს საგაზაფხულო თესვისათვის წარმატებით მზადებას. მაგრამ ეს არ გაითვალისწინა კოლმეურნეობის თავმჯდომარე არტ. მერაბაშვილმა.

წითელქალაქის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ქ. ვარდოევი სოციალისტური შეჯიბრების გარშემო ყველაფერს გაკეთებულად მოგვაჩვენებს. ფაქტიურად კი აქ სოცშეჯიბრება არ არის გაშლილი. პირიქით, ვარდოევი სხვის ინიციატივასაც არ გამოეხმაურა.

სოცშეჯიბრების გაუტარებლობითაც აიხსნება ის ჩამორჩენა, რომელიც ამ კოლმეურნეობებს გაზაფხულის თესვისათვის მზადებაში აქვთ. წითელქალაქის კოლმეურნეობას სიმინდის თესლი საბოლოოდ არ შეუმოწმებია, არა აქვს ბალახების (ესპარცეტის) თესლი. ზ.-ჩოჩეთის კოლმეურნეობაში არ შეუმოწმებიათ სათესლე სიმინდი, მიუღებელი აქვთ ქერის თესლი, რომელიც 30 ჰექტარზე უნდა დასთესონ. კასპის კოლმეურნეობას ჯერ .არ მიუღია 60 ჰექტარზე დასათესი ჯიშიანი სიმინდი, კარტოფილის, ბალახების—უგრეხელასი, ესპარცეტისა და სხვ. 22 ჰექტარის სათესლე მასალა. რაიმიწგანის გამგეს ამხ. ციხისთავს ეს გარემოება რატომღაც არ აღელვებს.

მუშა-პირუტყვი უკეთეს კვებას საჭიროებს. მაგალითად, ზ.-ჩოჩეთის კოლმეურნეობაში უნდა მიეღოთ 4 ტონა კოპტონი, ეს ვერ მიიღეს და ზედმეტ ფასებში—450 მანეთად შეიძინეს 1 ტონა. ამიტომ დღეღამის განმავლობაში მუშა-პირუტყვს სულზე აძლევენ ნახევარ კილო კოპტონს. მუშა-პირუტყვი ძალიან დასუსტებულია.

ინვენტარის შეკეთებასა და მის მოვლა - პატრონობაზე ნაკლებად ზრუნავენ. მაგალითად, კასპის კოლმეურნეობაში შესაკეთებელია 10 ურემი, 6 გუთანი, სიმინდის სათესი მანქანა, 6 კულტივატორი. ზ.-ჩოჩეთის კოლმეურნეობაში 9-დან შეკეთებულია მხოლოდ 3 გუთანი. ამ კოლმეურნეობების ზოგი მანქანა—შეკეთებულიც და შეუკეთებელიც მთელ ზამთარს ცის ქვეშ ჰყრია და იჟანგება. კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები ერთნაირად სჩივიან, შესაზამი ფარდულები არა გვაქვსო. ამავე დროს მათ ჯეროვანი მზრუნველობა ვერ გამოიჩინეს მეურნეობისათვის და ვერ მოუხერხებიათ ეზოებში მიყრილ-მოყრილი იარაღ-მანქანები, რომლებსაც დღეში რამდენჯერმე გაუვლიან ხოლმე, გადააწყონ და გადახურულ ადგილას შეინახონ.

მაშინ, როდესაც ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები ვალდებულნი არიან უხელმძღვანელონ და ყოველდღიური კონკრეტული დახმარება გაუწიონ ამ საქმეში კოლმეურნეობებს, კასპის რაიონის ხელმძღვანელმა მუშაკებმა გაზაფხულისათვის მზადება ისე ჩაატარეს, რომ სოციალისტური შეჯიბრება არ გაუშლიათ. მტს-ის დირექტორმა ამხ. ვარძელაშვილმა და დირექტორის მოადგილემ პოლიტდარგში ამხ. ჩუბინიძემ მტს-ის მუშა-მოსამსახურეთა შორის სოციალისტური შეჯიბრება არ შეამოწმეს და ამიტომ შეჯიბრება ფორმალური აღმოჩნდა.

მხოლოდ გვიან, 11 მარტს კასპის პარტრაიკომმა მოიწვია სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეთა, კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა და პირველადი პარტორგანიზაციების ხელმძღვანელთა. რაიონული თათბირი სოციალისტური შეჯიბრების გაშლის საკითხზე. თათბირზე, რომელსაც 200 კაცზე მეტი ესწრებოდა, სიტყვებით გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ თესვის მზადებაში არსებულ ნაკლს, რაიონში სოციალისტური შეჯიბრების გაუტარებლობას. ამავე დროს მათ ურთიერთი გამოიწვიეს სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ეს იყო კასპის რაიონში გაზაფხულის თესვის მზადებისათვის სოციალისტური შეჯიბრების დასაწყისი. თუმცა აღსანიშნავია, რომ ამხანაგების გამოსვლებისა და დიდი ხნის კამათის შემდეგ, კონკრეტული ღონისძიებანი სოციალისტური შეჯიბრებისა და მისი გატარების საკითხებზე თათბირზე მაინც არ მიუღიათ.

ჯერჯერობით ასე უვლიან გვერდს სოციალისტური შეჯიბრების ნამდვილად გაშლას კასპის რაიონში.

შ. ასათიანი

ხვნა-თესვა

(მიწსახკომის 20 მარტის ცნობებით)

რაიონები	ხვნის გეგმის შესრულება ჰექტარობით	შესრულების პროცენტი
გორი	1.297	20,8
კასპი	649	14,1
გურჯაანი	190	6,3
სიღნაღი	1.860	41
ყვარელი	281	23,6
ლაგოდეხი	191	12,6
თბილისი	2.612	38,7
ყარაია	1.618	80,9
ბორჩალო	1.433	81,2
ლუქსემბურგი	743	75,7
დუშეთი	92	2,4
ალბულაღი	310	7,6
საგარეჯო	727	14,4
ქუთაისი	3.220	31,6
სამტრედია	2.556	32,5
წულუკიძე	1.109	29,9
ვანი	500	12
ბაღდათი	73	1,8
ჭიათურა	116	0,8
ტყიბული	316	6,4
აბაშა	1.709	14,6
ცხაკაია	594	7
გეგეჭკორი	2.029	30,3
ზუგდიდი	1.954	29,3
ხობი	590	10,3
წალენჯიხა	121	6,3
ჩხოროწყუ	1.306	31,8
მახარაძე	123	2.4
ლანჩხუთი	1.196	16.2
ჩოხატაური	173	4,1
ფოთი	28	8.8
აფხაზეთის ასსრ	14.788	37,2
აჭარის ასსრ	239	4,7
სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი	547	3,9
სულ	45.290	14,5

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებს 20 მარტისათვის ხვნა დაწყებული არ ჰქონდათ.

ახალციხის, ბორჩალოს, ბაღდათის, ტყიბულის, აბაშის, ხობის, მახარაძისა და ფოთის რაიონების ცნობები 15 მარტისაა.

20 მარტისათვის რესპუბლიკაში სხვადასხვა კულტურები დათესილი იყო სულ 4.123 ჰექტარზე — გეგმის 0,8 პროცენტი. მათ შორის პური დათესილი იყო 1.213 ჰექტარი, ქერი — 1.428, შვრია — 112, საკვები ბალახები — 43, მზესუმზირა —845, კარტოფილი—326 და სხვ.

20 მარტისათვის თესვის გეგმა ბორჩალოს რაიონს შესრულებული ჰქონდა 21,3 პროცენტით, თბილისის რაიონს — 9,6-ით, ყარაიისას—4,4-ით სიღნაღისას — 4,2-ით, ალბულაღისას — 5,1-ით, საგარეჯოსას — 6,5-ით, ლაგოდეხისას — 1,3-ით და კასპის რაიონს — 0,2 პროცენტით.

გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „გლეხის მარჯვენა" შეუდგა საგაზაფხულო თესვას. სურათზე: გურჯაანის მტს-ის ტრაქტორისტ-სტახანოველი ამხ. ს. ალიმბარაშვილი მინდორში მუშაობის დროს. ფოტო სტალინიშვილისა („სოიუზფოტო" საქ. განყ.)

ესპანეთის ფრონტებზე

(საკდესის ცნობებით)

აღმოსავლეთის (არაგონის) ფრონტი

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, 23 მარტს მოწინააღმდეგემ გააფართოვა იერიშები აღმოსავლეთის ფრონტის სხვადასხვა სექტორში. მეამბოხეებმა შესძლეს გადაელახათ მდინარე ებრო, დაეკავებინათ სოფლები პინა და ველილია დე ებრო (სარაგოსის სამხრეთ-დასავლეთი), მაგრამ რესპუბლიკელთა ჯარებმა მოიგერიეს ყველა მათი იერიში ამ სექტორში. უესკის სამხრეთ-დასავლეთით ფაშისტები მოქმედებდნენ ტანკებისა და კავალერიის დახმარებით, ამასთან მათ პირველად გამოიყენეს კვამლის საბურველი. რესპუბლიკელთა ნაწილებმა აქ დასტოვეს ტარდიენტა და სანგარენი. უესკის სექტორში მოწინააღმდეგის ყველა იერიში სავსებით იქნა მოგერიებული. მეამბოხეთა ავიაციამ სამჯერ დაუშინა ყუმბარები ბუხარალოსს (რომელიც სარაგოსიდან ლერიდისაკენ მიმავალ გზაზე მდებარეობს).

ფრონტზე ებროს სამხრეთით დღემ მშვიდობიანად ჩაიარა. სხვა ფრონტებზე მდგომარეობა უცვლელია.

აჯამებს რა აღმოსავლეთის ფრონტზე წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ესპანეთის სააგენტო აღნიშნავს, რომ უკანასკნელი კვირის განმავლობაში მეამბოხეთა და იტალია-გერმანიის ინტერვენტების ჯარებმა [illegible] წინ. მტერი გააფთრებულ წინააღმდეგობას ხვდება. უკანასკნელად ვალდეაიგოფთან (ალკანიზის მახლობლად) გამართული ბრძოლის დროს, რომელიც ორ დღეს გაგრძელდა, მეამბოხეებსა და ინტერვენტებს დიდი ზარალი მოუვიდათ. რესპუბლიკელთა ჯარის სიმტკიცე და მორალური მდგომარეობა შეუდარებლად უფრო მაღალია, ვიდრე მოწინააღმდეგისა, მიუხედავად მისი ტექნიკური შეიარაღების მთელი უპირატესობისა. რესპუბლიკელთა ჯარები მტკიცედ გამაგრდნენ კატალონიისა და ვალენსიის მთიან მისადგომებზე.

როგორც სააგენტო აღნიშნავს, რესპუბლიკელთა სამხედრო წრეებში გულდამშვიდებით მოელიან მომავალ საომარ ოპერაციებს, რადგან მხედველობაში ღებულობენ, რომ მტრის წინწაწევა, რასაც უკანასკნელ დროს ადგილი ჰქონდა, მას არავითარ არსებითად მნიშვნელოვან პოზიციებს არ აძლევს.

მადრიდის ბომბარდირება

პარიზი, 24 მარტი (საკდესი). გუშინ, დაახლოებით შუადღისას, მეამბოხეთა არტილერიამ დაიწყო მადრიდის ინტენსიური ბომბარდირება, რომელიც საათზე მეტ ხანს გრძელდებოდა. დაახლოებით 200 ყუმბარა დაეცა მადრიდის ცენტრში, რამაც გამოიწვია მატერიალური ზარალი. 27 კაცი დაიჭრა. რესპუბლიკელთა ბატარიებმა წარმატებით დაუშინეს ყუმბარები მეამბოხეთა ჯარების თავმოყრილ ჯგუფებს მადრიდის ჩრდილოეთ-დასავლეთით.

ესპანეთის ლონდონელი ელჩის განცხადება

ლონდონი, 24 მარტი (საკდესი). ესპანეთის რესპუბლიკის საელჩომ ლონდონში ინფორმაცია შიაწოდა ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს იმის შესახებ, თუ რა მონაწილეობას ღებულობდნენ იტალიისა და გერმანიის ჯარები მეამბოხეთა უკანასკნელ შეტევაში არაგონიის ფრონტზე. 23 მარტს ესპანეთის ლონდონელი ელჩი ასკარატე ეწვია საგარეო საქმეთა მინისტრის მუდმივ მოადგილეს კადოგანს, რომელსაც აგრეთვე აცნობა, რომ გერმანიამ და იტალიამ დიდძალი საომარი საჭურველი, თვითმფრინავები და ჯარი გაუგზავნეს ესპანელ მეამბოხეებს.

ჰიტლერელები ამზადებენ ახალ პროვოკაციას

ჟენევა. 23 მარტი (საკდესი). „ნაციონალ ცაიტუნგი", რომელიც ბაზელში გამოდის, იმოწმებს რა „სუდეტის გერმანელთა ბანაკთან მეტად მჭიდროდ დაკავშირებულ პირს", იუწყება, რომ ჰენლაინი (ჩეხოსლოვაკიის ჰიტლერელთა ხელმძღვანელი) ემზადება იმისათვის, რომ 27 მარტს ჰიტლერის ბრძანებით გამოაცხადოს ჩეხოსლოვაკიის სუდეტის გერმანელთა ოლქის „ავტონომია" „დროებით ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოს ჩარჩოებში".

საფრანგეთის პრესა ინგლისის მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ

პარიზი, 23 მარტი (საკდესი). ინგლისის მთავრობის გუშინდელ განცხადებაზე საგარეო პოლიტიკის შესახებ „ეპოკის" ლონდონელი კორესპონდენტი ასეთს რეზიუმეს იძლევა: „არ იქნა მიღებული არავითარი ვალდებულება, რაც მომასწავებელი იქნებოდა სამხედრო დახმარების გარანტიისა, უდროოდ იქნას ცნობილი ახალი მოლაპარაკება გერმანიასთან". მიუხედავად ამისა, განაგრძობს გაზეთი, ლორდ გალიფაქსს იმედი აქვს დიპლომატიური მოლაპარაკების საშუალებით უახლოეს ხანში მოაწესრიგოს გერმანელ უმცირესობათა სტატუტის პრობლემა ჩეხოსლოვაკიაში".

პერტინაქსი „ეკო დე პარიში" სწერს, რომ „ინგლისის მთავრობა ისწრაფვის გადასდოს კონფლიქტი, რათა დაამთავროს ინგლისის შეიარაღება და საშუალება მისცეს საფრანგეთს მიაღწიოს სტაბილიზაციას. ამ პოზიციის სუსტი პუნქტი, ამბობს პერტინაქსი, ის არის, რომ ჰიტლერის გერმანიას იმედი აქვს ინგლისისა და საფრანგეთის ინერტობისა და, ამასთან დაკავშირებით, იჩქარის თავისი გეგმები განახორციელოს ცენტრალურ ევროპაში. ჩემბერლენი კი ცდილობს შეთანხმებას იტალიასთან უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ ეს შეთანხმება მისთვის აუცილებელია, რათა განამტკიცოს თავისი, ჩემბერლენის, პირადი პოზიციები.

„ლუმანიტე" ხაზს უსვამს, რომ, რაც უნდა დიდადმნიშვნელოვანი იყოს ინგლისის პოზიცია ცენტრალური ევროპის მიმართ, „ხელშეკრულებანი, რომლებიც საფრანგეთს ჩეხოსლოვაკიასთან აკავშირებენ, დადებული და ხელმოწერილია ამ პოზიციის დამოუკიდებლივ: ხელშეკრულებანი ძალაში რჩება ყოველ შემთხვევაში".

დათხოვნა ავსტრიის არმიაში

ჟენევა, 23 მარტი (საკდესი). შვეიცარიის გაზეთი „ნაციონალ ცაიტუნგ" იუწყება, რომ ჰიტლერის განკარგულებით ავსტრიის არმიიდან დაითხოვეს 12 გენერალი, 10 პოლკოვნიკი, მრავალი პოდპოლკოვნიკი, მაიორი და სხვა ოფიცრები. ამ ოფიცრებმა აშკარად განაცხადეს, რომ ისინი ჰიტლერის წინაშე ფიცს სდებენ თავის ნება-სურვილის წინააღმდეგ.

გერმანელი ფაშისტების სამხედრო მანევრები აღმოსავლეთ პრუსიაში

ვარშავა, 23 მარტი (საკდესი). გაზეთები ყურადღებას აქცევენ გერმანელი ფაშისტების საიდუმლოებით მოცულ სამხედრო მანევრებს აღმოსავლეთ პრუსიაში, გერმანია-ლიტვის საზღვრის მახლობლად.

„ილუსტროვანი კურიერ ცოძენი" იუწყება, რომ ლიტვის ტერიტორიაზე დაფრინავდა გერმანიის სამი სამხედრო თვითმფრინავი, რომლებიც ქალაქ შავლიმდე მიფრინდნენ და შემდეგ აღმოსავლეთ პრუსიაში დაბრუნდნენ. გაზეთი იუწყება, რომ ტილზიტის რაიონში (აღმოსავლეთი პრუსია) თავმოყრილია 10 ათასი ჰიტლერელი მოიერიშე.

„პოლსკა ზბროინა" იუწყება, რომ დანციგში მოიერიშე და მცველი რაზმები საბრძოლად არიან გამზადებული.

ჩან კაი-ში ჩავიდა ჯანჯოუში

ლონდონი. 24 მარტი (საკდესი). ჩინელთა ცნობით, მთავარსარდალი ჩან კაი-ში ჩავიდა ჯანჯოუში და პირადად უხელმძღვანელებს ბეიპინ-ხანკოუს და ტიანძინ-პუკოუს რკინიგზათა ფრონტების ოპერაციებს. მისი უშუალო თანაშემწე არის ლი ძუნ-ჟენი.

დუნაის სამხედრო ფლოტილია ჩაირიცხა გერმანიის ფლოტის შემადგენლობაში

პარიზი, 23 მარტი (საკდესი). ჰიტლერმა გერმანიის ფლოტის მთავარსარდალი ადმირალი რედერი დანიშნა აგრეთვე ავსტრიის დუნაის ფლოტილიის სარდლად. დუნაის ფლოტილია გერმანიის სამხედრო ფლოტის შემადგენლობაში ჩაირიცხა.

საომარი მოქმედება ჩინეთში

ჩრდილოეთ ჩინეთში.

ხანკოუ, 23 მარტი (საკდესი). ტიანძინ-პუკოუს რკინიგზის ჩრდილოეთ უბანში გრძელდება ბრძოლა. იაპონელებმა ხელში ჩაიგდეს ლინჩენი. ტენსიანის (ლინჩენის ჩრდილოეთით) გმირული დაცვა სწარმოებდა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. იაპონელთა თვითმფრინავებმა და არტილერიამ ქალაქი მთლად დაანგრიეს, ხანძარი მოედო ყველა ნაგებობას. ტენსიანისა და ლინჩენისათვის წარმოებული ბრძოლების დროს ორივე მხარეს დიდი ზარალი მოუვიდა. ჩინელები აკავებენ იაპონელთა შემდგომ შეტევას ხანჯუანის ჩრდილოეთით (შანდუნისა და ძიანსუს პროვინციების საზღვარზე). იაპონელები ცდილობდნენ შეჭრილიყვნენ ხანჯუანში, მაგრამ მოგერიებულ იქნენ. 21 მარტს ბრძოლა სწარმოებდა ქალაქ ისიანის ირგვლივ (ლინჩენის სამხრეთ-აღმოსავლეთით). 2 ათასმა იაპონელმა ჯარისკაცმა დაიწყო შეტევა ჩინელთა პოზიციებზე ტენსიანის სამხრეთ-აღმოსავლეთით. აქ იაპონელებს მოუკლეს 500-ზე მეტი კაცი.

შანსის პროვინციაში ჩინეთის ჯარებმა 21 მარტს გადალახეს ხუანხე ქალაქ შანჯოუს რაიონში და აიღეს ქალაქები პინლუ და მაოძინდუ.

სუიუანის პროვინციაში, ჩინეთის ჯარებმა 17 მარტს იერიში მიიტანეს სალაცის რკინიგზის სადგურზე (ბაოტოუს აღმოსავლეთით), დაანგრიეს რკინიგზის ლიანდაგები და ცეცხლი წაუკიდეს იაპონელთა სამხედრო საწყობებს.

გახშირდა ჩინელი პარტიზანების თავდასხმა იაპონელთა მატარებლებზე, რომლებიც ცინდაო-ძინანის რკინიგზით მიდიან, და ამ გზის სადგურებზე. უკანასკნელი ხნის განმავლობაში დაიმსხვრა იაპონელთა 18 მატარებელი.

ცენტრალურ ჩინეთში.

ხანკოუ, 22 მარტი (საკდესი). ჰუძიანის პროვინციაში იაპონელებმა აიღეს ანძი (ხაიჯოუს ჩრდილოეთ-დასავლეთით). ტაიხუს ტბის სამხრეთ-დასავლეთით განუწყვეტელი ბრძოლა სწარმოებს.

შანხაი, 22 მარტი (საკდესი). სიაოფინის მახლობლად გუშინ ჩინელმა პარტიზანებმა, რომლებიც ორი მხრიდან თავს დაესხნენ იაპონელთა ჯარებს, შეაჩერეს მათი შეტევა. ჩინელ პარტიზანებს აგრეთვე განუწყვეტლივ მიაქვთ იერიშები ტაიხუს ტბის ირგვლივ და ნანკინ-შანხაის რკინიგზის გასწვრივ მდებარე მთელ რიგ პუნქტებზე.

კომუნისტი

პარტიული ცხოვრება

ცილისმწამებლები ჯერ არ დაუსჯიათ

(სოხუმი, „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

კომკავშირის აფხაზეთის ორგანიზაციაში კომკავშირელთა გარიცხვისა და გარიცხულთა აპელაციების განხილვისას ბევრი შეცდომა იქნა დაშვებული. აქ ბლომად ნახავთ იმის მაგალითებს, რომ კომკავშირელებს ხელაღებით რიცხავდნენ ორგანიზაციიდან.

თავისი ქარაფშუტული, ყოვლად უმსგავსო დამოკიდებულებით კომკავშირელთა ბედ-იღბლისადმი განსაკუთრებით გამოირჩეოდა კომკავშირის გაგრის რაიონული კომიტეტი და მისი ყოფილი მდივანი ბერიშვილი. მარტო გასული წლის მეოთხე კვარტალში აქ კომკავშირიდან გარიცხეს 96 კაცი „ხალხის მტრებთან კავშირის" მოტივით. როგორც ახლა ირკვევა, გარიცხულთა დიდი უმრავლესობა სრულებით უსაფუძვლოდ მოაშორეს კომკავშირის რიგებს.

სოფ. ვარჩეს არასრული საშუალო სკოლის დირექტორი კომკავშირელი გ. ანჯაფარიძე კომკავშირის სოხუმის რაიკომმა გარიცხა „ანტისაბჭოთა მოლაყბის დაცვისათვის". ფაქტიურად არც ლაყბობას და არც დაცვას ადგილი არ ჰქონია.

მეტად საინტერესოა კომკავშირელ გ. ქიტიაშვილის საკითხი. ქიტიაშვილი საბჭოთა მეურნეობა „ილიჩის" მოწინავე აგრონომია. მას დასწამეს მეურნეობის ყოფილ დირექტორთან—ხალხის მტერთან კავშირი და გარიცხეს კომკავშირიდან. ქიტიაშვილმა მიმართა კომკავშირის საოლქო კომიტეტს, მაგრამ საოლქო კომიტეტის მაშინდელმა ხელმძღვანელებმა „ულაპარაკოდ", ყოველგვარი საქმიანი მიდგომის გარეშე დაამტკიცეს კომკავშირის სოხუმის რაიკომის ბიუროს გადაწყვეტილება. საოლქო კომიტეტის ზოგიერთი მუშაკი (პ. კაჩურინი) უკანასკნელ დრომდე კვლავ იცავდა კომკავშირიდან ქიტიაშვილის გარიცხვას. საქმე გამოსწორდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქმეში ჩაერია საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტი და „კომუნისტის" რედაქცია, რომელთაც განცხადებით მიმართა ამხ. ქიტიაშვილმა.

ასევე საინტერესოა კომკავშირელ ა. ჯუმიდავას საკითხი. ჯუმიდავა ბინის სივიწროვის გამო დროებით ოთახში შეუსახლეს კომკავშირელ ა. ქარდავას. ცოტა ხნის შემდეგ ქარდავას წაუყენეს ცილისმწამებლური ბრალდება ტროცკისტებთან კავშირის შესახებ და ამიტომ გარიცხეს კიდეც კომკავშირიდან. მას ზედ მიაყოლეს კომკავშირელი ა. ჯუმიდავაც, როგორც მასთან ერთად მცხოვრები და, მაშასადამე, „მოკავშირის მოკავშირე". გამოირკვა, რომ თვით ქარდავასაც არავითარი კავშირი არ ჰქონია ტროცკისტებთან და ცილისმწამებლური, ყოვლად უსაფუძვლო ბრალდების ნიადაგზე იყო გარიცხული, ჯუმიდავა ხომ სულ ტყუილუბრალოდ მოყვა „წმენდაში".

კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტი ყოველთვის სათანადოდ როდი ეხმაურება კომკავშირელთა სააპელაციო განცხადებებს. მაგალითად, ამხ. აშოტ მატოსიანმა თავისი უსამართლო გარიცხვის შესახებ საოლქო კომიტეტში განცხადება შეიტანა ჯერ კიდევ გასული წლის 3 აპრილს, ხოლო საოლქო კომიტეტმა მისი საკითხი განიხილა და იგი კომკავშირში აღადგინა 1938 წლ. 3 მარტს, ანუ თითქმის ერთი წლის შემდეგ.

კომკავშირის საოლქო კომიტეტში სულ შემოსულია 255 აპელაცია, აქედან გარჩეულია 169. კომკავშირში აღდგენილია 83 ამხანაგი, ხოლო 86 აპელაცია კი ჯერ კიდევ არ არის განხილული.

საყურადღებოა, რომ კომკავშირის საოლქო კომიტეტს ჯერ არ გამოუმჟღავნებია და არ დაუსჯია არცერთი ცილისმწამებელი,

გ. მერკვილაძე

საქართველოს კ. პ. (ბ) ჭიათურის რაიკომის პარტკაბინეტთან მოწყობილია რადიოკაბინეტი.

სურათზე: პროპაგანდისტები (მარცხნიდან მარჯვნით) გრ. კირთაძე, კ. აბრამიშვილი, გ. ბარბაქაძე, გ. ხარაშვილი და ვ. თურქაძე ისმენენ რადიოლექციას.

ფოტო სტოლიაროვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

უკეთესად მოვაწყოთ პარტიის რეზერვთან მუშაობა

გ. სურგულაძე

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ინსტრუქტორი

ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა პარტიაში მიღების შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა საფუძველზე სერიოზული მუშაობა ჩაატარეს. საბჭოთა ქვეყნის იმ მოწინავე ადამიანთა რიცხვი, რომლებიც პარტიის რიგებში შევიდნენ ან ახლა შედიან, ათასობით იანგარიშება. ბევრი პარტიული ორგანიზაციები ბოლშევიკურად ანხორციელებენ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებას და ყველა მითითებას პარტიაში მიღების შესახებ.

მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ პარტიაში მიღების მხრივ ყველგან კარგად იყოს საქმე. ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაცია ივიწყებს, რომ პარტიაში მიღება პარტიული მუშაობის ფრიად პასუხსაგები უბანია და მას მეორეხარისხოვან საქმედ სთვლის. ამის დასადასტურებლად შეგვიძლია მოვიყვანოთ ზოგი მაგალითი საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მუშაობის სინამდვილიდან.

რკინიგზის მთავარი სამასალო საწყობის (ლენრაიონი) პირველადი პარტიული ორგანიზაცია ერთერთი ძლიერი პარტორგანიზაციაა. მიმდინარე წლის პირველი იანვრიდან დღემდე ამ პარტორგანიზაციამ მხოლოდ სამი კაცი მიიღო საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატებად და მთელი მუშაობა ამით ამოსწურა. მიღებულთაგან ყველა საკ. კ. პ. (ბ) თანამგრძნობი იყო, კომკავშირელთაგან კი არცერთი არ მიუღიათ, მაშინ, როცა აქ 10 კომკავშირელი მუშაობს. იქნებ მთავარი სამასალო საწყობის პარტორგანიზაციის მუშაობის ტერიტორიაზე არ მოიპოვება პარტიის რეზერვი, არ არიან ადამიანები, რომლებიც ღირსი იყვნენ საკ. კ. პ. (ბ) წევრობისა? არა, ამის თქმა არ შეიძლება. აქ ბევრნი არიან პარტიის ერთგულნი, წარმოების მოწინავე ადამიანები—თანამგრძნობები, კომკავშირელები, მოწინავე მუშები.

აი, მაგალითად, თანამგრძნობი ვ. გაჟიევი (საწარმოო ჯგუფის ხელმძღვანელი). იგი მოწინავე მუშაა, ავტორიტეტიანი, გეგმას ყოველთვის 113—140 პროცენტით ასრულებს. ასევე მოწინავეები არიან კომკავშირელი ნ. ბუხრაშვილი, ბერიძეაშვილი და სხვ., რომლებიც თავდადებით მუშაობენ საწარმოო გეგმების შესრულებისათვის.

პარტიისათვის ღირსი ადამიანები არიან! მაგრამ საქმე ის არის, რომ პარტკომმა (მდივანი—გოგიჩაიშვილი) დღემდე ვერ მოაწყო გულმოდგინე მუშაობა პარტიის რეზერვთან — თანამგრძნობებთან, კომკავშირთან და საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატებთან. პარტწევრობის კანდიდატები ჩაბმული არ არიან პარტიულ მუშაობაში, მათ არ ეძლევათ პარტიული დავალებები, ხოლო, რაც მთავარია, არ ხდება მათთვის მიცემულ დავალებათა შესრულების შემოწმება. პარტკომის სუსტი მუშაობის შედეგია, რომ პარტკანდიდატები ხშირად აცდენენ პარტიულ კრებებს და პოლიტსკოლის მეცადინეობას. ასე, მაგალითად, ს. ერემაშვილი ხუთი კრებიდან სამს არ დასწრებია, გიგინაშვილი—4-ს და ასე შემდეგ.

პარტიის რეზერვთან მუშაობა სუსტადაა დაყენებული აგრეთვე სადგურ თბილისის საკონდუქტორო პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში (პარტკომის მდივანი—მოგელაძე). აქ პარტწევრობის კანდიდატებს პარტიული დავალებები არა აქვთ. პარტორგანიზაციაში ირიცხება 14 კანდიდატი, რომელთაგან პარტიული დავალება მხოლოდ 4-ს აქვს მიცემული. თანამგრძნობთა შორის მუშაობა ხომ მთლად დაივიწყნია პარტიულ კომიტეტს. თანამგრძნობთა ჯგუფში 8 კაცი ირიცხება, აქედან პარტიული დავალება მარტო ერთისათვის—ხიზანიშვილისათვის მიუციათ. დანარჩენებს პარტდატვირთვა არა აქვთ. პარტიული კომიტეტის მიერ თანამგრძნობთა აღზრდის შეუფასებლობით უნდა აიხსნას ისიც, რომ თანამგრძნობებზე მიმაგრებული არ არიან მომზადებული პარტიული ამხანაგები.

შედარებით უკეთესი მდგომარეობაა თბილისის სადგურის პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში. უკანასკნელი ოთხი თვის განმავლობაში პარტორგანიზაციამ საკ. კ. პ. (ბ) წევრად გადარიცხა 9 კაცი, ხოლო საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატებად მიიღო 10 კომკავშირელი და 6 თანამგრძნობი. პარტკომის მდივანი ამხ. ტაბატაძე გულისხმიერებით ეკიდება თანამგრძნობებთან, კომკავშირელებთან და პარტწევრობის კანდიდატებთან მუშაობას. სწორედ ამის შედეგია, რომ აღნიშნული პარტიული ორგანიზაცია ამ ბოლო დროს დიდად გაიზარდა წარმოების მოწინავე ადამიანთა ხარჯზე.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ პარტიის რეზერვთან გულმოდგინე თანმიმდევრობითი მუშაობა, თანამგრძნობების, კომკავშირელების, პარტიის წევრობის კანდიდატების—საწარმოთა დამკვრელების, სტახანოველების ყოველდღიური აღზრდა ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა.

ჩამორჩენილმა პარტორგანიზაციებმა საჭირო დასკვნები უნდა გააკეთონ და ბოლშევიკურ ნიადაგზე დააყენონ პარტიის რეზერვთან მუშაობა.

ამხ. ე. ახობაძე აღდგენილია კომკავშირის რიგებში

„კომუნისტის" გასული წლის 30 ივლისის ნომერში მოთავსებული იყო წერილი „კომკავშირი აბარებს სერიოზულ გამოცდას", სადაც აღნიშნული იყო რომ „მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის კომკავშირის კომიტეტის ყოფილმა მდივანმა ერ. ახობაძემ დაფარა თავისი კავშირი ხალხის მტერთან, ფილიალის ყოფილ დირექტორთან". ამ ბრალდებით ამხ. ახობაძე კომკავშირის რიგებიდან გარიცხეს.

გამოირკვა, რომ ბრალდება შეთითხნილი იყო ხალხის მტრების მიერ.

საქ. ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა ამხ. ერ. ახობაძე კომკავშირის რიგებში აღადგინა.

გამოვასწოროთ შეცდომები. დავსაჯოთ ცილისმწამებლები

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის თებერვლის პლენუმის მითითების შემდეგ ხაშურის რაიონის პარტიული ორგანიზაცია ენერგიულად შეუდგა პარტიიდან კომუნისტების გარიცხვისას დაშვებულ შეცდომათა გამოსწორებას. დღეისათვის ამ მხრივ სერიოზული მუშაობაა ჩატარებული.

მიმდინარე წლის პირველი იანვრიდან დღემდე პარტიის რაიკომში შემოვიდა საკ. კ. პ. (ბ)-დან გარიცხულთა 123 სააპელაციო განცხადება, აქედან 14 მარტამდე განხილულია 93. პარტიის წევრის უფლებებში აღდგენილია 58 კაცი. გარდა ამისა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგიის მიერ პარტიის რიგებში აღდგენილ იქნა 24 კაცი.

რაიკომმა უკვე აღადგინა პარტიის რიგებში აგარის შაქრის ქარხნის უფროსი აგრონომი გ. ჯანელიძე, ავტომექანიკოსი ნ. ნოზაძე, ი. ცხოვრებაშვილი, კ. სხირტლაძე და სხვები, რომლებიც 1937 წელს გარიცხეს ცილისმწამებლურ განცხადებათა საფუძველზე.

საქ. კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომი, ასწორებს რა დაშვებულ შეცდომებს, ამასთან ერთად მკაცრად სჯის იმათ, რომელთა ცილისმწამებლურ „მასალების" საფუძველზე არაერთი პატიოსანი მუშაკი მოსწყდა საკ. კ. პ. (ბ) რიგებს.

ასე, მაგალითად, პარტიის წევრების მიმართ ცილისწამების გამო ს. ბრეგვაძე მოიხსნა მტს-ის დირექტორის მოადგილის თანამდებობიდან, გამოყვანილ იქნა რაიკომის ბიუროს და პლენუმის შემადგენლობიდან. სერგო გელაშვილი მოიხსნა პარტრაიკომის ინსტრუქტორობიდან საყვედურის გამოცხადებით. მასწავლებელი გ. ლალუაშვილი (სოფ. ალი) პარტიის წევრებისადმი ცილისწამებისათვის გაირიცხა კომკავშირის რიგებიდან.

კომკავშირელმა კულიჯანოვმა რაიკომში შეიტანა ცილისმწამებლური განცხადება პარტორგის ამხ. გიგლა ნოზაძის წინააღმდეგ. კულიჯანოვმა შეცდომაში შეიყვანა და ცილისმწამებლურ განცხადებაზე ნოზაძის წინააღმდეგ ხელი მოაწერინა 25 კაცს. რაიკომმა გულდასმით შეამოწმა მთელი მასალები ამ საქმეზე. ნოზაძის მიმართ წაყენებული ბრალდებები არ დადასტურდა. რაიკომის ბიუროს 13 მარტის დადგენილებით ამხ. გ. ნოზაძე გამართლებულია, ხოლო ცილისმწამებელ კულიჯანოვის საქმე გადაეცა კომკავშირის რაიკომს.

პასიურობისათვის პარტიიდან გარიცხულმა ანა ბერიძემ ხაშურის რკინიგზის სადგურის პირველადს პარტორგანიზაციაში შეიტანა განცხადება პარტიაში აღდგენის შესახებ. პირველადი პარტორგანიზაცია გულისხმიერად არ მოეკიდა ბერიძის საქმეს და უარი უთხრა მას პარტიაში აღდგენაზე. საქ. კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომმა შეისწავლა ანა ბერიძის გარიცხვის მთელი მასალები, გამოირკვა, რომ ბერიძეს შვილების ზედიზედ სიკვდილისა და ქმრის ავადმყოფობის გამო საშუალება არ ჰქონდა აქტიური მონაწილეობა მიეღო პარტიულ ცხოვრებაში.

საქ. კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის ყოფილ „ხელმძღვანელებს" წესად ჰქონდათ შემოღებული პარტიიდან უდანაშაულოდ გარიცხულთა სამსახურიდან მოხსნა. ასეთი საბუთით სამუშაოდან მოხსნილი იყო 31 კაცი, რომელთაგან ყველანი, გარდა ორისა, დღეისათვის უკვე აღდგენილი არიან სამუშაოზე.

შ. იოსავა.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ხელმძღვანელი პარტორგანოების განყ. ინსტრუქტორი

სოლომონ თავაძე

ორსანტია

ორი წლის წინათ ვნახე ნერგები,
პირველ ღიმილით სუნთქავდნენ ტკბილად.
ეს იყო ოქროს მსგავსი ტერფებით
მწვანე ბაღებში ჩამდგარი დილა.
აქ გაზაფხული დანარნარობდა
ფერად ყვავილით და ზამბახებით;
ნაჭაობარი მიწა ხარობდა
შემოვლებული სუფთა არხებით.
სადაც უხვევენ ახალი გზები,
ყველგან ოდები, ახლად ნაგები,
ირგვლივ კი თითქოს გაშლილი ფრთებით
დანავარდობდნენ ფარშავანგები.

გაზაფხულია ბრწყინვალე ახლაც,
პირს ჰბანს ქუჟუნა წვიმის ამბორი, —
თქვენ კიდევ უფრო ასულხართ მაღლა,
პირველთაგანნი პირველთა შორის,
ეზოებს, ნამყენს და ნორჩ ხეხილებს
მეტის კაშკაშით ამკობს ოდები,
ისე, ვით შრომით გამობრძმედილებს
თქვენს პირველ კაცებს შვენის ორდენი.
ვინც უნდა შეგხვდეს, ჯერ უნახავი,
ბავშვი, თუ ქალი თვალმშვენიერი,
შენც აგამაღლებს დოვლათით, ხვავით,
ადამიანის ახალ იერით.

აი, კვლავ ვუსმენ თქვენს ხმატკბილ მგოსნებს,
ჩონგურს, მგზნებარეს იდუმალებით,
თითქო საუნჯის კარს ასხივოსნებს
უღრმესი გრძნობით სავსე თვალები.
მღერის, ფრთას ისხამს და ადის ზევით,
ხალხის მძლე გულში რაც შენახულა,
გაურღვევია უღრანი ხევი
და მწვერვალებზე გამოსახულა;
დამშვენებულა მაღალი სწრაფვით,
მზისებრ რომ ანთებს ბელადის თვალი,
გაკაჟებულა ბრძოლის და ჯაფის
ქარცეცხლში წრთობილ ფოლადის ძალით.

მაინც რამდენი მტერი გვყოლია,
რამდენი მავნე, რამდენი გესლი!
თითქო შხამიან გველთა რგოლია
ქვეწარმავალთა სისინი გვესმის.
ბრაზით ახრჩობდა მათ თქვენი წინსვლა,
თქვენი სანერგე, ფერმა, ბაღები, —
ამიტომაა დღეს თქვენი რისხვა
გულიდან ცეცხლად ამონაღები.
აი, ჩონგურიც ჰანგებს უფარდებს,
სიმები მწყობრად ჟღერს და ღაღადებს,
რომ ჩვენს მიწაზე ვეღარ სუნთქავდეს
ხალხის ორგული და მოღალატე!

საღამოს კლუბში სტუმრად წვეულებს
გაგვიმასპინძლდით სიმღერით, ცეკვით.
და ჩვენ, სიამით აღტაცებულებს,
სხვა რა გაგვაჩნდა ლექსების მეტი.
გამოგეთხოვეთ... და როცა ავტო
მისრიალებდა მოკენჭილ გზაზე,
მთვარე ციმციმით ვიდოდა მარტოდ
ვარსკვლავთა ქვიშით მოჭედილ ცაზე;
ყოველ ეზოში ბულბული იჯდა
და გასძახოდნენ ერთმანეთს სტვენით,
რომ სიხარულის საუნჯედ იქცა
მზე — ბედნიერი სამშობლო ჩვენი,
რომ მაღლა აგვაქვს ჩვენ ეს ცხოვრება,
მზიურ ხალისით ვხვდებით განთიადს...
ოცნებასავით მემახსოვრება
ოდიშის ღამე და ორსანტია.

პატარა ფელეტონი

ნათლობა

რომანოზ ჩიხლაძე არის შუამავალი ღმერთსა და ხალხს შორის. სხვანაირად ეს შეიძლება გამოითქვას ასე: რომანოზ ჩიხლაძე არის მღვდელი, ხუცესი, ზოგი მას სულიერ მამას ეძახის. ცხოვრობს ის წულუკიძის რაიონის ერთ სოფელში და მოქმედებს ყველგან, მთელი რაიონის მასშტაბით.

როცა ამ ხუცესმა სტალინური კონსტიტუციის მე-124 მუხლი წაიკითხა, უეცრად სახის ისეთი გამომეტყველება მიიღო, რომ ერთსა და იმავე დროს დიდ სიხარულსაც გამოხატავდა და გაკვირვებასაც. ერთი სიტყვით, თქვენთან რა დავფიცო, სჯობია კაცმა მართალი სთქვას, ამ მღვდელს რაღაც გაეხარდა. თუ ბოროტებას არ ფიქრობს კაცი, გაეხარდეს რამდენიც უნდა, მე რა მენაღვლება.

მაგრამ...

შეარჩია თავისი მრევლიდან საიმედო მორწმუნენი, როგორიცაა, მაგალითად, კაპიტონ, რაფიელ, ყარამან ჩიხლაძეები, მოიხმო ისინი და უთხრა: უფლის ძენო! ისმინეთ სიტყვა ჩემი, რამეთუ განგებას სწადია აღადგინოს ქვეყანა ესე რჯულსა ზედა ხელაღებული. ხომ ხედავთ ამას, აი აქ, ამ კონსტიტუციაში, ერთი ისეთი მუხლია, რომ ყველა დანარჩენს მირჩევნია. ეს მუხლი ჩვენს სასარგებლოდ უნდა გამოვიყენოთ.

შემდეგ ხელი ზეცას აღაპყრო და ვედრებით წარმოსთქვა: კურთხეულ ხარ შენ, უფალო, რამეთუ მარადის მფარველობ სამწყსოსა შენსა, წყალობითა შენითა არც აწ ექნების შეჭირვება გულსა ჩვენსა.

წვერზე ხელი გადაისვა, მიუბრუნდა ყმათაყა, ქრისტე ახსენა, ჯვარი გადასახა და დაიწყო: ერი აღვადგინოთ, ხალხი ცოდვისაგან განვწმინდოთ. ნუ დავაყოვნებთ! ახლავე ვაცნობოთ ესე მუხლი ამა კახოხისა ყველა ძესა, ყველა ასულსა, მონასა და მხევალსა. საეკლესიოსა ჩვენსა შინა არ უნდა დარჩეს არცერთი სულდგმული, რომ ამ მუხლის ჩვენებური შინაარსი ზეპირად არ უწყოდეს.

— ჭაბუკნო! თქვენა ხართ მოვლენილნი მქადაგებლად და ყოვლის შინაარსის განმმარტებლად. ყოველმან თქვენგანმა შეაგროვეთ ხალხი, რომელთაც უხსნიდეთ და არწმუნებდეთ. ხოლო ოდეს ბუნდოვანი საკითხი წამოიჭრას, მოდით ჩემთან, არ დავიშურებ ძალსა ჩემსა და გავაშუქებ საკითხსა ეგზომ რთულსა, ბუნდოვანსა და ბნელსა.

ამრიგად, რომანოზმა რელიგიური წრეები ჩამოაყალიბა. პროპაგანდისტებად კაპიტონ, რაფიელ და ყარამან ჩიხლაძეები გამოჰყო. მათი ხელმძღვანელობა თვითონ იკისრა, ინდივიდუალური კონსულტაციების მოწყობაც დაივალა.

ღვთის მოციქულებმა თავიანთი ამოცანა ბრწყინვალედ შეასრულეს. რამდენიმე საუბრის მოწყობის შემდეგ მორწმუნენი ეკლესიის გარშემო დარაზმნენ. დადუმებულმა ზარმა ხმა ამოიღო, გაჩაღდა წირვა, ლოცვა, ვედრება, მიცვალებულთა სულის პატივისცემის ჩაბაბით მორწმუნეებმა უფლის მოციქულს რომანოზ ჩიხლაძეს რამდენჯერმე მოუწყვეს „სმა-ჭამა დიდად შესარგი". რომანოზმა ამოივსო ჯამი თვისი.

მაგრამ ამას არ დასჯერდა. მან ახალი საკვანძო საკითხი გამოძებნა, ჩასჭიდა ხელი, კვლავ მოიხმო მქადაგებელნი და მიმართა:

— შვილებო! ხომ იცით, რომ ჩვენს სოფელში ბევრი მოუნათლავი ბავშვია. ღმერთი არ გვაპატიებს, რომ ეს საკითხი უყურადღებოდ დავტოვოთ. უქადაგეთ ხალხს, ჩემი სახელით გადაეცით, რომ თუ ბავშვებს არ მონათლავენ, ისინი დაიხოცებიან. თქვენ ვადას ნუ დაუნიშნავთ, თუ როდის დაიხოცებიან, თორემ სიტყვა გაგვიმტყუნდება და შემდეგ მართალსაც აღარ დაგვიჯერებენ. თქვენ უბრალოდ უთხარით, ბავშვები მონათლეთ, თორემ მოუნათლავად დაიხოცებიან-თქო. ხომ მართალია, მოუნათლავები მოუნათლავად დაიხოცებიან, აბა რა დაემართებათ! თქვენ შეგიძლიათ კიდეც დაიფიცოთ. სამწყსო უფლისა შეშინდება. მოუნათლავი ბავშვების პატრონები შვილებს ვერ გაიმეტებენ და მონათლავენ. ამით ღმერთთანაც პირნათლად, გამოვალთ და ჩვენც შემოსავლის ახალი წყარო გამოგვიჩნდება საწუთროსა ამასა ზედა.

მქადაგებელნი გაიფანტნენ, მოედვნენ სოფელს და რელიგიური პროპაგანდა გააჩაღეს. — ხალხნო! — მიმართავდნენ ისინი მშრომელთ, — ვისაც მოუნათლავი ბავშვები გყავთ, მონათლეთ, თორემ მოუნათლავად დაიხოცებიან. მოძღვარმა დაგვავალა გადმოგცეთ, რომ ასე სწადია მეუფესა ჩვენსა. საიქიო ცხოვრებას ნუ გაიმწარებთ, აღასრულეთ წადილი ღვთისა!

და შემდეგ:

რომანოზმა გორდის სასოფლო საბჭოში შემავალი სოფლების მცხოვრებთა ყველა მოუნათლავი ბავშვი მონათლა. ეს კაცი... ბოდიში, კაცი კი არა, ეს ხუცესი შემდეგ კინჩხის სასოფლო საბჭოს ფარგლებში შეიჭრა. მან აქ 32 ბავშვი მონათლა. მათ შორის ზოგი 10 წლისა იყო, ზოგი თორმეტის, ზოგიც ცამეტისა და ზოგი კიდევ მეტის.

რა ესმა რომანოზს, რომ ამ სოფელში ერთი 16 წლის ქალწულია მოუნათლავი—გაიღიმა, წვერი შეაცანცარა, თავში ათასნაირმა აზრმა გაუელვა. როგორი აზრები იყვნენ, ან რამ ჩაასახლა ისინი ამ თავში—არავინ იცის, ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ, ის, რომ ხუცესმა კითხვა-კითხვით ამ ქალწულის ოჯახს მიაგნო.

ვფიქრობ, დავასახელო თუ არა ის ოჯახი, სადაც ეს ამბავი მოხდა და ვერ გადამიწყვეტია, მე მგონია, არ არის საჭირო. ამიტომ აღარ ვასახელებ, რომ ნათლობა ქაროსანიძის ოჯახში მოხდა. ჩვენ გვაინტერესებს 16 წლის „პატალა" გოგონას ნათლობა...

ანაფორიოსანი ჯერ ჭიშკარშიც არ შესულიყო, რომ სანათლოდ მომზადებული ოჯახის წევრები შეეგებნენ.

— მობრძანდით, მამაო, მობრძანდით,— დაიძახა ერთმა და დამსწრეებმაც მღვდლის დანახვაზე ქუდები მოიხადეს.

— შენდობა, მამაო! — მიესალმნენ ისინი.

— გაკურთხოთ შვილო, ღმერთმა, — გადასახა ჯვარი ხუცესმა.

მიიწვიეს. გაიმართა დიდი სმეულობა და ჭამეულობა. რას ინატრებს კაცი, რომ სუფრაზე არ ყოფილიყოს. გაძღა მღვდელი, მაგრამ რა გაძღა! თავის ტყავში აღარ ეტეოდა, მოხვეტა სუფრაზე რაც რამე იყო და მუცელში, აქლემივით, ერთი კვირის საგზალი დააგროვა. ახლა მოსდგა ღვინოს და სულ ღვინი გააცალა.

მღვდელს დავთარი აერია, ნათლობა დაავიწყდა. წამოდგა და სახლში წასვლა დააპირა. კიდეც წავიდოდა, რომ მარო ბობოხიძეს არ შეეხსენებინა — მობრძანდით, მამაო, ქალი მოვნათლოთო.

ნათლობისათვის საჭირო ყველა მოწყობილობა მოიტანეს. მოსანათლავი ქალიც მოიყვანეს. მღვდელმა აავლ-ჩაავლო მსუნაგი თვალი, ღმერთო ნუ მიწყენ და, მგონი კიდეც მოეწონა.

— აბა! გახადეთ ტანისამოსი! — ბრძანა მოძღვარმა.

— უი, დამეყაროს მიწა! არ შემიძლია, ტანისამოსს არ გავიხდი, — წამოიძახა ქალმა და გასაქცევად მოემზადა.

— შვილო, თუ არ გატიტვლდები, ისე შუბლზე მირონი არ გაჩერდება, — წაილუღლუღა მღვდელმა. — გაიხადე! გაიხადე, ნუ გრცხვენია! მარო, შენც უთხარი რამე!

— ნუ ხარ მეტიჩარა, გაიხადე, — ჩაუწყრა მარო ბობოხიძე.

— არ შემიძლია, ვერ გავიხდი, თუ კარგია თვითონ მღვდელმა გაიხადოს ან შენ გაიხადე—ჯიუტობდა 16 წლის „პატალა" გოგონა.

ასე იყო თუ ისე, ქალი იძულებული შეიქნა გატიტვლებულიყო. და მართლაც, ამის შემდეგ მირონმა ქალის შუბლზე უფრო მაგრად მოიკიდა ფეხი.

ასეთ სასწაულებს ახდენს რომანოზი და მაინც აძაგებენ. რაც უნდათ ის ილაპარაკონ, ენას ძვალი არა აქვს. ისე კი, თუ სიმართლეს ვიტყვით, რომანოზმა თავისი მუცლისათვის მეტად სასარგებლო საქმე გააკეთა და თვალსაც, როგორც ბოროტენები ამბობენ, „წყალი დაალევინა".

შილა მახვილაძე

ბ. გოგუა

ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი

დიდი გამარჯვება

უკვე სამი თვეა, რაც დრამატურგ შალვა დადიანის საგმირო-რევოლუციური პიესა „ნაპერწკლიდან" მიდის რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრებში. ამ თეატრების სცენაზე სამი თვის განმავლობაში 77-ჯერ დაიდგა „ნაპერწკლიდან" და იგი 70 ათასზე მეტმა მაყურებელმა ნახა. რით აიხსნება ასეთი არაჩვეულებრივი წარმატება?

ეს აიხსნება პიესის მაღალი პოლიტიკური დონით, რევოლუციური მოძრაობის ისტორიული სიმართლის დაცვით და რევოლუციურ-რომანტიკული თემის ოსტატურ დრამატურგიულ ფორმაში გაშლით. დრამატურგის ამ მიღწევამ ლოგიკურად გამოიწვია სპექტაკლის წარმატება. ეს პიესა ასახავს ბოლშევიზმის სახელოვანი მატიანის ერთერთ უძლიერეს პერიოდს, საქართველოში რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟს—1901-1902 წლებს, როდესაც ახალგაზრდა სტალინი რევოლუციური შეუდრეკელობით და პრინციპულობით აყალიბებდა ლენინურ-ისკრულ რევოლუციურ ორგანიზაციას ბათუმში. ამ თემის დრამატურგიულ ასახვაში ავტორმა გამარჯვებას მიაღწია იმით, რომ იგი ხელმძღვანელობდა ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** ღირსშესანიშნავი ნაშრომით — „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის" და ამიტომ არის, რომ პიესაში მოცემულია არა მარტო ერთი ეპიზოდი რევოლუციური წარსულიდან, არამედ ისტორიული თანამიმდევრობით მხატვრულად ასახულია რევოლუციური მოძრაობის გარკვეული პერიოდი. რა თქმა უნდა, ისტორიიდან ერთი მთლიანი პერიოდი, მხატვრულად ასახული, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ერთი ეპიზოდი.

პიესა „ნაპერწკლიდან" წარმოადგენს ფრიად მნიშვნელოვან მოვლენას ქართული საბჭოთა დრამატურგიისა და თეატრის განვითარებაში, უფრო მეტი, ეს პიესა ჰქმნის ახალ ეტაპს ჩვენი ქვეყნის ახალი ცხოვრების გმირულ მოვლენათა სოციალისტური რეალიზმის პრინციპებით მაღალმხატვრული ფერებით ასახვის საქმეში. და ეს პიესა წარმოადგენს დრამატურგისა და თეატრების გაბედულ ინიციატივას — სცენაზე უჩვენონ რევოლუციის ბელადების სახეები.

საბჭოთა მაყურებელი, რომელსაც უყვარს თავისი ბრძნული პარტია, მისი ძვირფასი ბელადები **ლენინი და სტალინი**, განუსაზღვრელი აღფრთოვანებით შეხვდა ჩვენი თეატრებისა და დრამატურგის ამ გაბედულ ინიციატივას. ამ სპექტაკლებში ერთხელ კიდევ ნათლად გამომჟღავნდა მშრომელი მასის ინტერესი ბოლშევიკური პარტიის გმირული წარსულისადმი, დიდი სიყვარული უძლეველი სამშობლოს ისტორიისადმი.

ასეთ დიდ გამარჯვებას ჩვენმა თეატრებმა მიაღწიეს სწორედ იმით, რომ ისინი მთლიანად დაეუფლნენ ხელოვნების ერთადერთ ჭეშმარიტ მეთოდს — სოციალისტური რეალიზმის მეთოდს.

ამის შემდეგ ცხადია, რომ ეს პიესა თეატრებისგან მოითხოვს უდიდეს მუშაობას და პასუხისმგებლობას, მთელი თავიანთი შემოქმედებითი უნარის გამომჟღავნებას. და სწორედ სპექტაკლის წარმატების მეორე მძლავრი ფაქტორია ჩვენი თეატრების მხატვრული კოლექტივების მზადყოფნა ამ რთული ამოცანის გადასაწყვეტად. მათ შესძლეს ერთხელ კიდევ გამოემჟღავნებინათ თავიანთი შემოქმედებითი შესაძლებლობანი და მსახიობური ოსტატობის მაღალი დონე.

ამ მხრივ, მართალია, როლების შესრულებისა და მხატვრული სახის გახსნის სხვადასხვაობასთან გვაქვს საქმე, მაგრამ სპექტაკლის ლოგიკურ მთლიანობასა და ორგანულობას ურღვევი რიტმით ანვითარებს მონაწილეთა მთელი ანსამბლი როგორც რუსთაველის სახელობის, ისე მარჯანიშვილის სახელობის თეატრებში. სპექტაკლის მონაწილენი სცენიურ სახეთა შეთანხმებულ ურთიერთობაში რეალისტურად ჰქმნიან მთელ რიგ დრამატიულ სიტუაციებს, სადაც მკაფიოდ მოჩანს ახალგაზრდა სტალინის ხელმძღვანელი როლი, თვითონ მხატვრული სახე კი გამოკვეთილია როგორც იდეური მედროშე რევოლუციური მოძრაობისა.

ამ მხრივ უთუოდ დიდ წარმატებებს მიაღწიეს რუსთაველის თეატრში მსახიობმა მიხეილ გელოვანმა და მარჯანიშვილის თეატრში მსახიობმა ვასო გოძიაშვილმა. 22 წლის ახალგაზრდა სტალინის პორტრეტული მსგავსება უდავოდ ვირტუოზულად აქვთ ორივეს მიღწეული.

მ. გელოვანი რეალისტური სკოლის საკმაოდ გამოცდილი მსახიობია. მან გარეგან მსგავსებასთან ერთად მიაღწია იმას, რომ გადმოეცა შინაგანი ადამიანური ბუნება მიმზიდველი უბრალოება და მუშებთან დამოკიდებულებაში სადა და უაღრესად ჰუმანური ურთიერთობა.

ორივე მსახიობის შესრულებაში ჩვენ ვგრძნობთ სტალინურ შეუდრეკელობას, რევოლუციურ მიზანსწრაფვას, რწმენას ხალხის ძლიერებასა და გამარჯვებაში, მტრებისადმი დაუნდობელ სიძულვილს და ყველაფერ ამასთან ღრმა ადამიანურ უბრალოებას. განსაკუთრებული სიზუსტითაა გადმოცემული სტალინის ძირითადი თვისება — უბრალო, ყოფითი წვრილმანი ფაქტებიდან გამოჰყავს თავისი გენიალური დასკვნები, ყოველ ნაბიჯზე და ყოველ ცალკე შემთხვევაში ასწავლის ადამიანებს და აღვივებს მათში შეგნებულ პოლიტიკურ აზროვნებას.

ამის შესანიშნავი მაგალითია, როდესაც ახალგაზრდა სტალინი 1901 წლის ახალწლის ღამეს მუშა სილიბისტრო ლომჯარიას სადღეგრძელოს სვამს. აქ სადღეგრძელო აყვანილია პოლიტიკური გათვითცნობიერებისა და შეგნების სიმაღლეზე — „თქვენ ქარხნის ადმინისტრაციამ დაგაწინაურათ, შავი მუშიდან ნოქრად გადაგიყვანათ, — ამით თავი მოგიქონათ". ეუბნება მსახიობი ლომჯარიას სტალინური თბილი ღიმილით, მაგრამ მერე სტალინის სახე იცვლება და აქ უკვე გარკვეული გაფრთხილება და მოწოდებაა — „იცოდეთ, სილიბისტრო, რომ ამ თავის მოქონვით არ მოლბეთ და დამთმობი არ გახდეთ". ეს არის სტალინური გაფრთხილება, რომელიც მკვეთრად გამოხატულია მსახიობების მიერ. ასევე აგრძელებს სტალინი ამ ფაქტზე თავისი გენიალური დასკვნის გამოტანას — „აი, ასე მოულობენ ფაბრიკანტები თავიანთ ერთგულ მსახურთ, მუშათა საქმის გამცემლებს. შტრეიკბრეხერებს". შემდეგ ჩვეულებრივი სტალინური ალერსიანი ღიმილი: „თქვენ, რა თქმა უნდა, ასეთი არა ხართ და იცოცხლეთ ათას წელიწადს", და მერე კი სიმღერა. აი, აქ მთლიანად გამოკვეთილია ბელადის უსაყვარლესი სახე, რასაც ვირტუოზულად მიაღწიეს მსახიობებმა.

მაყურებლისათვის წარუშლელია და დაუვიწყარი „მგზნებარე კოლხიდელის" საყვარელი და ბრძოლის ხალისის შთამგონებელი სახე. აღფრთოვანებულია მაყურებელი და აღტაცების ქარიშხალი გუგუნებს, როდესაც გამოჩნდება კაცობრიობის დიდი გენიოსი ლენინი. ლენინისა და სტალინის შეხვედრის სცენა სიხარულისა და სიყვარულის ჟრუანტელით იპყრობს მაყურებელს. რამდენად მომხიბვლელი და მიმზიდველია ეს სურათი!

რუსთაველის თეატრში ლენინის სახე განასახიერა სსრკ სახალხო არტისტმა **აკაკი ვასაძემ**. პიესის მიხედვით ლენინს ერთი პატარა ეპიზოდი აქვს. მას არა აქვს სიტყვა, მაგრამ აღსანიშნავია ა. ვასაძის მიერ ამ როლის ოსტატურად შესრულება. ზედმიწევნით ზუსტად და მხატვრული ზომიერებით დამუშავებულია ყოველი მოძრაობა — ლენინის დამახასიათებელი ჟესტები და სიარული.

მარჯანიშვილის სახელ. თეატრში ლენინის სახეს იძლევა მსახიობი **შ. გომელაური**, რომელმაც უდავოდ ნიჭიერად გამოხატა ლენინის ადრინდელი 1905-7 წლების ცოცხალი სახე და შესანიშნავი კომპოზიცია შექმნა იმ პატარა დრამატურგიულ ეპიზოდში, სადაც ერთმანეთს ხვდებიან კაცობრიობის დიდი გენიოსები — ლენინი და სტალინი.

ჩვენმა მოწინავე თეატრებმა გაბედულად მოჰკიდეს ხელი იმ გიგანტური ამოცანის გადაჭრას, რომელიც გამოიხატება რევოლუციის ბელადების ცოცხალი სახეების ხელოვნებაში მოცემით. ამოცანა უდავოდ ბრწყინვალედ იქნა გადაწყვეტილი. და ამ წარმატებას დიდად შეუწყეს ხელი ჩვენი თეატრების ნიჭიერმა კოლექტივებმა.

ამ ნიჭიერ კოლექტივებთან რეჟისორების (რუსთაველის თეატრში — სსრ სახ. არტისტი აკ. ვასაძე, მარჯანიშვილის თეატრში — გ. ჟურული) გულმოდგინედ მუშაობამ გააცოცხლა სცენაზე ცხრაასიანი წლების ტიპიური მდგომარეობანი ტიპიური ადამიანებით.

დრამატურგიული მდგომარეობის მზარდი განვითარება, ისტორიული სურათების თანმიმდევრული ცვლა იმდენად მიმზიდველია, რომ მაყურებელი შეუნელებელი ყურადღებით მიჰყვება სპექტაკლს. რეჟისორების სიმძიმის ცენტრი სამართლიანად გადატანილი აქვთ დიდი სტალინის ხელმძღვანელ როლზე.

ამრიგად ეს სპექტაკლები უეჭველად წარმოადგენენ ქართული საბჭოთა დრამატურგიისა და თეატრალური ხელოვნების ახალი აღმავლობის საწყისს.

თბილისის ძველი უბანი. მარჯვნივ ზევით XVIII საუკუნის ჩვენამდე მოღწეული ძეგლი „დარეჯანის დარბაზი".

ფოტო რ. აკოფოვისა

„დარეჯანის დარბაზი"

ალბათ ბევრი შეამჩნევდა აგურისაგან ნაგებ, აივანშემოვლებულ კოშკს, რომელიც ამართულია თბილისის ძველი უბნისა და ავლაბრის ზღუდეზე და ღვინის ამართის გასწვრივ დაყუდებული კლდიდან გადასცქერის ძველ ქალაქს.

ეს არის ერთერთი უძველესი ისტორიული ძეგლი თბილისისა, რომელიც გადარჩენია დროთა ქარტეხილს და კერძოდ აღამაჰმადხანის უკანასკნელ აოხრებას. ამ ძეგლის სახელია „დარეჯანის დარბაზი".

მდიდარია თბილისი ძველი ისტორიული ძეგლებით, მაგრამ მათგან ჩვენამდე, თითო-ოროლას მოუღწევია თავისი პირვანდელი სახით. მათ შორის „დარეჯანის დარბაზი" ყველაზე თვალსაჩინო და მნიშვნელოვანია, რადგან წარმოადგენს მეთვრამეტე საუკუნის სამოქალაქო-სტრატეგიული ნაგებობის მკაფიო ნიმუშს.

იგი წმინდა სტრატეგიული მოსაზრებით აუშენებია დარეჯან დედოფალს (ერეკლე მეფის მეორე ცოლი იყო) XVIII საუკუნის მეორე ნახევარში და ამის მთავარი აზრი ყოფილა ქალაქში არსებული ერთადერთი ხიდის (ახლანდელი ავლაბრის ხიდის ადგილზე) დაცვა ისნის (ავლაბრის) მხრიდან. საერთოდ ამ ხიდს ორმხრივი გამაგრება ჰქონია. სამხრეთ-დასავლეთიდან მას იცავდა ნარიყალის ციხე, ანუ კალა, და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთიდან — ხსენებული „დარეჯანის დარბაზი".

მთელი ეს ნაგებობა შესდგება ცენტრალური ბასტიონისაგან, სადაც მოთავსებულია ოვალური ფორმის დარბაზი, დაახლოვებით 50-60 კვადრატული მეტრის ზომისა. მისი კედლების სისქე ორი მეტრია და შიგ დატანებული აქვს ნიშები. იქიდან შეიძლება თვალთვალი დასავლეთისა, სამხრეთისა და ჩრდილოეთისაკენ. ბასტიონის მარჯვნით და მარცხნით, კლდის გასწვრივ, გაჰყვება ისეთივე სქელი მაღალი კედელი, რომლის ფუძე კლდეზეა ამოყვანილი და ერთი მთლიანი სიმაგრის სისტემას ჰქმნის. ამასთან კედელი გამაგრებულია რამდენიმე მომცრო ზომის ბურჯით. მთელი სიმაგრე ნაგებია ირანული წესით დაწყობილი აგურისაგან.

საქართველოში რუსეთის თვითმპყრობელური რეჟიმის შემოჭრის შემდეგ ამ ისტორიულ ძეგლს რუსეთის რეაქციული სამღვდელოება დაეპატრონა და იგი მონასტრად გადააკეთა. დარბაზს მიადგეს მთელი რიგი საცხოვრებელი შენობები, თვით დარბაზში ნიშები ფანჯრებად გადააკეთეს, ეზოში ააგეს ეკლესია, რომელიც საინტერესოა მხოლოდ იმ მხრივ, რომ ნაგებია XIX საუკუნეში და წარმოადგენს ქართული და სლავური სტილის ნარევს.

რევოლუციის შემდეგ მონასტერი ლიკვიდირებული იყო და გასულ წლამდე მის შენობებს საცხოვრებლის დანიშნულება ჰქონდათ.

ახლა ეს ისტორიული ძეგლი ამ ფუნქციისგანაც თავისუფლდება. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით ხდება მისი კაპიტალური შეკეთება და რესტავრაცია, რამდენადაც კი ეს მოსახერხებელია. აღებული იქნება ყველა შემდგომი პერიოდის ნაგებობანი, აღადგენენ სიმაგრის ზოგიერთ დანგრეულ ნაწილს და სხვ., რის შემდეგაც „დარეჯანის დარბაზი" თანამედროვე მნახველს წარმოუდგება თავისი პირვანდელი სახით. სარემონტო სამუშაოებთან ერთად განზრახულია სიმაგრის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების წარმოება, რადგან, როგორც სპეციალისტები ფიქრობენ, არ შეიძლება იქ რაიმე საინტერესო მასალა არ იყოს მოქცეული.

დარბაზის აღდგენის სამუშაოებს ხელმძღვანელობს არქიტექტორი კალაშნიკოვი. ამ საქმეზე წელს იხარჯება 150 ათასი მანეთი.

ა. კელენჯერიძე.

70 წელი ა. მ. გორკის დაბადებიდან

მოსკოვის ფაბრიკები და ქარხნები, კულტურის სასახლეები, მუშათა კლუბები, უმაღლესი სასწავლებლები, სკოლები და მუზეუმები ემზადებიან დიდი პროლეტარული მწერლის ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის დაბადების 70 წლისთავისათვის.

ა. მ. გორკის დაბადების 70 წლისთავს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია აღნიშნავს 27 მარტს საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სხდომით. ვ. ი. კირპოტინი გამოვა მოხსენებით „მაქსიმ გორკი—უდიდესი პროლეტარული მწერალი", პროფესორი ს. დ. ბალუხატი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „მაქსიმ გორკის შემოქმედებითი გზა", ო. ვ. ცეხნოვიცერი—მ. გორკი ფაშიზმთან ბრძოლაში".

28 მარტს სახელმწიფო პოლიტექნიკური მუზეუმის დიდ აუდიტორიაში შესდგება ლექცია შემდეგ თემაზე: „დიდი სახალხო მწერალი მაქსიმ გორკი". შემდეგ გაიმართება დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის სახალხო არტისტები ო. ლ. კნიპერ-ჩეხოვა და მ. მ. ტარახანოვი, რსფსრ დამსახურებული არტისტები ს. გ. ბირმანი, ს. ვ. გიაცინტოვა და სხვ. (საკდესი).

ა. ხოფერია — სახ. კონსერვატორიის დირექტორი

თბილისის კონსერვატორიის 20 წლისთავი

მიმდინარე წელს თბილისის კონსერვატორიას არსებობის 20 წელი უსრულდება. კონსერვატორია ერთბაშად როდი წარმოიშვა. მას წინ უსწრებდა მუსიკალური სასწავლებელი, ხოლო უფრო ადრე მუსიკალური სკოლა, რომელიც 1874 წელს ცნობილმა ქართველმა მუსიკალურმა მოღვაწემ ხარლამპი სავანელმა დააარსა.

სავანელი განათლებული მუსიკოსი იყო. მან პ. ჩაიკოვსკისთან ერთად დაამთავრა პეტერბურგის კონსერვატორია. მხურვალე იდეოლოგი მასობრივი მუსიკალური განათლებისა, ის ენერგიულად შეუდგა მუსიკალური კულტურის დანერგვას, ხალხური მუსიკალური შემოქმედების შეგროვებასა და დაცვას. მაგრამ მის მიერ დაარსებულ კერძო მუსიკალურ სკოლას არ შეეძლო მუშაობის გაშლა, რადგან დიდ მატერიალურ დაბრკოლებებს განიცდიდა. ბინის უქონლობის გამო ის შეკედლებული იყო ვინმე ჟაბას სკოლის შენობაში და თავისი არსებობის პირველ წელს მასში სულ ათი მოწაფე სწავლობდა.

1890 წელს, მ. იპოლიტოვ-ივანოვის დროს, სკოლა გადაკეთდა მუსიკალურ სასწავლებლად, ხოლო 1918 წელს მის საფუძველზე შეიქმნა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია.

თბილისის კონსერვატორიაში იცავენ რა საბჭოთა კავშირის საუკეთესო კონსერვატორიათა ტრადიციებს, ახალგაზრდობას ასწავლიან ფართოდ ცნობილი მხცოვანი პროფესორები: დ. არაყიშვილი, ი. აისბერგი, ა. თულაშვილი, ა. ვირსალაძე, კ. მინიარი, ო. შულგინა, ტრუსკოვსკი, ე. ვრონსკი, გროსმანი, კობიაშვილი, ს. ბარხუდაროვი, მიხალსკაია.

მათთან ერთად საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თბილისის კონსერვატორიაში გაიზარდა პლეადა ახალგაზრდა მუსიკოსებისა, რომელთაც ღირსეულად უჭირავთ ხელში მოზარდი თაობის მუსიკალური აღზრდის დროშა. ესენი არიან შ. ასლანიშვილი, გ. ჩხიკვაძე, გ. კილაძე, შ. მშველიძე, ი. ტუსკია, ლ. შიუკაშვილი, ლ. იაშვილი, ნ. ჩიგოგიძე, ვ. ხმალაძე, ა. ბალანჩივაძე, ა. სვანიძე, პ. ხუჭუა, ლ. დონაძე, ა. ანდრიაშვილი, კამოევა, როგოვსკაია, თ. ჩარექიშვილი და სხვ.

კონსერვატორიასთან არსებობს ასპირანტურის ინსტიტუტი 20 ნიჭიერი მუსიკოსის შემადგენლობით; მათ შორის არიან: თ. შავერზაშვილი, გაბიჩვაძე, სლიანოვა, მაჭუტაძე, ჩიგოგიძე და სხვ.

ოდესღაც თბილისის პირველი მუსიკალური სკოლის ორგანიზატორები ხ. სავანელი და მისი თანამებრძოლნი ოცნებობდნენ მუსიკალური კულტურის მასობრივად გავრცელებაზე. ისინი მარტონი იყვნენ თავიანთ მისწრაფებებში. მუსიკალური სასწავლებლის აყვავების საუკეთესო პერიოდშიაც კი მოსწავლეთა რიცხვი არ აღემატებოდა რამდენიმე ათეულ კაცს, ახლა კი თბილისის კონსერვატორიის 4 ფაკულტეტზე 327 სტუდენტი სწავლობს.

გარდა ამისა, კონსერვატორიასთან არსებობს ნიჭიერ ბავშვთა ჯგუფი, რომელშიაც 90 მოსწავლე ითვლება. მოსწავლეთა მთელი ამ არმიის მუსიკალურ-მხატვრული აღზრდა მინდობილი აქვს პროფესორ-მასწავლებელთა პერსონალს რამდენიმე ათეული კაცის შემადგენლობით.

წინა წლებისაგან განსხვავებით კონსერვატორიამ წელს მიაღწია ყველა დისციპლინის უზრუნველყოფას მაღალკვალიფიციური კადრებით, როგორც ადგილობრივი, ისე მოწვეული ძალებით. განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული საათების გადიდებას სპეციალობათა მიხედვით. 5 საათის ნაცვლად წელს მოხერხდა 6-7, ზოგიერთი სპეციალობის მიხედვით კი 8 საათის გამოყოფა თვეში. კონსერვატორიამ პირველად 1937-38 წელს შესძლო ნამდვილად გაეშალა სამეცნიერო-საკვლევაძიებო მუშაობა ყველა კათედრისა და ყველა სპეციალობის მიხედვით.

დიდი ყურადღება ექცევა შემსრულებელთა ერთეულებს. ასე, მაგალითად, თუ შარშან ორკესტრის მუშაობის ჩვენება განზრახული იყო წლის ბოლოს, წელს მოეწყობა კონსერვატორიის სტუდენტთა სამი სიმფონიური კონცერტი. კონსერვატორიასთან არსებობს კომკავშირული და საბავშვო კვარტეტები, რომლებიც თვალსაჩინოდ გაიზარდნენ მხატვრულ - მუსიკალურის მხრივ. არსებობს აგრეთვე სახელმწიფო კვარტეტი, რომელიც მუშაობს პროფ. შვედოვის ხელმძღვანელობით და აკადემიური წლის ბოლოს გამართავს რამდენიმე საჩვენებელ კონცერტს.

კონსერვატორიასთან არსებული ნიჭიერ ბავშვთა ჯგუფი შეიქმნა 1935 წელს და ის გამოცდილი პედაგოგების ხელშია. ყოველწლიურად ხდება ჯგუფის შევსება ნიჭიერი ბავშვებით და შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად მასში ბევრი ნამდვილი ნიჭიერი მოსწავლეა.

ახალი სამოსწავლო წლიდან კონსერვატორიასთან იხსნება მუსიკალური ათწლედი, სადაც სპეციალური დისციპლინების გარდა ბავშვები შეისწავლიან საერთო-საგანმანათლებლო საგნებსაც. ეს დიდ დახმარებას გაუწევს მათ მეცადინეობისათვის ნორმალური პირობების შექმნის მხრივ.

უნდა ითქვას, რომ დღემდე სათანადო ბინის უქონლობის გამო კონსერვატორია დიდ დაბრკოლებას განიცდიდა. ქართული ხელოვნების ნიმუშების ჩვენება მოსკოვში 1937 წლის დამდეგს და კონსერვატორიის როლი იმ კადრების მომზადებაში, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ქართული ხელოვნების დეკადაში, ისტორიული აღმოჩნდა საქართველოს მუსიკალური კულტურისათვის, კერძოდ თბილისის კონსერვატორიისათვის. საბჭოთა კავშირის მთავრობამ კონსერვატორია დააჯილდოვა 1,5 მილიონი მანეთით, რათა გაფართოებულ იქნას კონსერვატორიის შენობა და მოეწყოს მასთან დიდი საკონცერტო დარბაზი.

ამ ღონისძიებამ განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები შექმნა მუშაობისათვის. 6 თვის განმავლობაში დამთავრდა ორი სართულის დაშენება (25 ოთახი), დაიწყო საკონცერტო დარბაზის მშენებლობა 1000 კაცისათვის. მშენებლობა წელსვე უნდა დამთავრდეს.

თბილისის საბჭოს ჯანმრთელობის განყოფილების ინიციატივით კონსერვატორიასთან დაარსდა მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის ფონიატრიული პოლიკლინიკა და ინგალატორია. ორი თვის წინათ ამავე ჯანმრთელობის განყოფილების ინიციატივით კონსერვატორიასთან გაიხსნა საბავშვო სანატორიუმი 20 საწოლით. სანატორიუმში მიიღებიან კონსერვატორიაში მოსწავლე ბავშვები 7-დან 13 წლის ასაკამდე. გარდა ამისა წაღვერში არსებობს სპეციალური დასასვენებელი სახლი ბავშვებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში თბილისის კონსერვატორიამ გამოუშვა 492 კვალიფიციური მუსიკოსი, რომლებიც ეწევიან როგორც საკონცერტო, ისე პედაგოგიურ მუშაობას არა მარტო საქართველოში, არამედ ჩვენი რესპუბლიკის გარეთაც. ასე, მაგალითად, ერევნის ოპერის თითქმის ყველა წამყვან მომღერალს დამთავრებული აქვს თბილისის კონსერვატორია. თბილისის კონსერვატორიის ყოფილი მოწაფეები გაფანტული არიან მოსკოვში, ლენინგრადში, ბაქოში, სვერდლოვსკში, ხაბაროვსკში.

მოსკოვის დიდ საოპერო თეატრში მუშაობს 4 კაცი, რომელთაც დამთავრებული აქვთ თბილისის კონსერვატორია.

თბილისის კონსერვატორიიდან გამოვიდნენ მომღერლები დ. ბადრიძე, დ. მჭედლიძე, ს. გოცირიძე, ოვჩარენკო, გილბერტი, დ. ანდღულაძე, ელ. სოხაძე, ს. ინაშვილი, პ. ამირანაშვილი, ნ. ქუმსიაშვილი; ინსტრუმენტალისტები რაია გორბუზოვა, გერც ცომიკი, ფერკელმანი, ჩიჯავაძე.

იზრდება და მტკიცდება საქართველოს მუსიკალური კულტურა. თბილისის კონსერვატორიას აქვს ყველა შესაძლებლობა გახდეს საბჭოთა კავშირის ერთერთ საუკეთესო კონსერვატორიად. პარტიის ყურადღებით აღფრთოვანებული და ფრთაშესხმული და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივნის, საუკეთესო სტალინელის ამხანაგ ლავრენტი ბერიას კონკრეტული ხელმძღვანელობით, ჩვენი კონსერვატორია კიდევ უფრო მაღლა ასწევს საბჭოთა უმაღლესი მუსიკალური სკოლის დროშას და ერთერთ საპატიო ადგილს დაიჭერს საბჭოთა კავშირის ძმამე რესპუბლიკათა კონსერვატორიებს შორის.

◆

აზერბაიჯანული ხელოვნების დეკადა მოსკოვში

ბაქო. (საკ. კორ.) 5 აპრილიდან მოსკოვში ჩატარდება აზერბაიჯანული მუსიკალური ხელოვნების დეკადა. დეკადისათვის აზერბაიჯანის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი მირზა ფატალი ახუნდოვის სახელობისა ამზადებს სამ ოპერას და ერთ მუსიკალურ კომედიას.

დაიდგმება რესპუბლიკის სახალხო არტისტის, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის უზეირ გაჯიბეკოვის ოპერა „ქეროღლი". სპექტაკლს დასდგამს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი იდაიათ-ზადე. დირიჟორობს ახალგაზრდა ნიჭიერი დირიჟორი აშრაფ გასანოვი. სპექტაკლი გაფორმებულია ორდენოსან მხატვარ რუსტამ მუსტაფაევის მიერ.

„ქეროღლის" გარდა დაიდგმება ორდენოსანი კომპოზიტორის გლიერის ოპერა „შახ-სენემ".

მესამედ დასდგამენ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის განსვენებული მუსლიმ მაგომაევის ოპერას „ნერგიზ". ეს გმირული ოპერა დაწერილია თანამედროვე თემაზე. მასში აღწერილია ამბები, რომელიც მოხდა აზერბაიჯანის სოფელში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პერიოდში. ოპერა „ნერგიზს" სდგამს აზერბაიჯანის ახალგაზრდა რეჟისორი სულთან დადაშევი, დირიჟორობს კომპოზიტორი და დირიჟორი ნიაზი.

ბოლოს დაიდგმება რესპუბლიკის სახალხო არტისტის უზეირ გაჯიბეკოვის ცნობილი მუსიკალური კომედია „არშინ-მალ-ალან".

ამ დადგმაში განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ სპექტაკლი მიდის ხალხური ინსტრუმენტების ორკესტრის თანხლებით. ორკესტრში 75 კაცია. „არშინ-მალ-ალანს" სდგამს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი იდაიათ-ზადე, მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ახალგაზრდა მხატვარს ადხემ სულთანოვს.

საოპერო თეატრის გარდა დეკადაში მონაწილეობას მიიღებს აზერბაიჯანის ფილარმონია, რომელიც ამზადებს სპეციალურ კონცერტს.

დეკადისათვის გამოშვებული იქნება ლამაზად გაფორმებული ბროშურები, რომლებშიაც აღწერილია აზერბაიჯანის ოპერის, გუნდის, საცეკვაო ანსამბლისა და ხალხური ინსტრუმენტების ორკესტრის ისტორია.

დეკადის დღეებში მოსკოვის დიდი თეატრის ფოიეში გაიხსნება აზერბაიჯანის თეატრალური ხელოვნების გამოფენა. გამოფენა ასახავს აზერბაიჯანის თეატრის ისტორიას, დაწყებული ფეოდალიზმის ეპოქიდან, თეატრალიზებულ სახალხო თამაშს და მისტერიებს დაახლოებით ასი წლის მანძილზე.

გამოფენის ერთერთი საინტერესო განყოფილება იქნება სახალხო თეატრი. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება აგრეთვე აზერბაიჯანის აშუღების შემოქმედება.

გამოფენა გვიჩვენებს აზერბაიჯანის დრამისა და ოპერის წარმოშობას, აზერბაიჯანის პირველი აქტიორებისა და კოლექტივების ეკლიან გზას რევოლუციამდე, თეატრის დაშლას მუსავატელების დროს.

გამოფენა გააცნობს მნახველს აზერბაიჯანის დრამის ფუძემდებლის მ. ფ. ახუნდოვისა და აზერბაიჯანის ოპერის დამაარსებლის უზეირ გაჯიბეკოვის ბიოგრაფიასა და შემოქმედებას, აგრეთვე პირველი პროფესიონალი მსახიობების ჯანგირ ზეინალოვის, არაბლინსკის, ტერეგულოვის, სარაბსკის და სხვათა მოღვაწეობას.

ცალკე იქნებიან წარმოდგენილი გამოფენაზე მსახიობი მამაკაცები, რომლებიც ქალის როლს ასრულებდნენ იმ დროს, როდესაც ქალს აკრძალული ჰქონდა სცენაზე შესვლა.

დიდი თეატრის ფოიეს მეორე სართულში მოთავსდება გამოფენის განყოფილება, რომელიც ასახავს თეატრალური ხელოვნების აყვავებას აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში.

ამავე დროს გამოფენაზე მოწყობილია აზერბაიჯანის სახვითი ხელოვნების განყოფილება, სადაც ნაჩვენები იქნება აზერბაიჯანელი მხატვრების ნამუშევარი.

რ. ხალილოვი.

ოვანეს თუმანიანის ხსოვნის საღამო

დიდი სომეხი პოეტისა და მწერლის ოვანეს თუმანიანის გარდაცვალების 15 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი მართავს პოეტის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოს.

საღამო გაიმართება მარტის დამლევს მწერალთა სასახლეში.

მოხსენებას ოვანეს თუმანიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ წაიკითხავს პროფ. ლ. მელიქსეთბეგი.

მოგონებებით პოეტის შესახებ და მისი ლექსების ქართული თარგმანებით გამოვლენ ი. გრიშაშვილი, ს. ეული, ვ. გორგაძე, ს. ჩიქოვანი, ვ. გაფრინდაშვილი, დ. გაჩეჩილაძე, მ. პატარიძე.

ახალი კოლმეურნეობა

ს. დუცხუნში (ვანის რაიონი) ერთპიროვნულ მეურნეთა მოთხოვნით ჩამოყალიბდა ამხანაგ მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობა, რომელშიაც 25 კომლი გაერთიანდა. გარდა ამისა, ხუთ კომლს შეტანილი აქვს განცხადება კოლმეურნეობაში მიღების შესახებ.

ახლად შექმნილი კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩია აქტიური კომკავშირელი ამხ. ვალ. ჯულაყიძე.

ამ კოლმეურნეობისათვის მიწათმოწყობა ამ დღეებში დამთავრდება **(საკ. კორ.)**

მარცხნივ—თბილისის კონსერვატორიის ახლად კურსდამთავრებული, ახალგაზრდა დირიჟორი დ. მ. მირცხულავა; ამას წინათ წარმატებით დირიჟორობდა ოპერა „დაისს". მარჯვნივ — კონსერვატორიის ქართული მუსიკის კათედრის გამგე დოცენტი გ. ს. ჩხიკვაძე ამოწმებს სვანური საკრავის „სანტურის" ტოხალობას.

ფოტო ო. ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

მხედრული მოტოკროსი

24 მარტს თბილისის ავტომოტოკლუბმა ჩაატარა მხედრული მოტოკროსი მარშრუტით: მცხეთა—კავთისხევი და უკან, მიძღვნილი მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის XX წლისთავისადმი.

დილის 10 საათისათვის ამიერ-კავკასიის ფედერაციის მოედანზე დანიშნული იყო კოლონის გამგზავრება საკროსე სტარტისაკენ. ამ დროისათვის აქ თავი მოიყარეს კროსის მონაწილეებმა აირწინაღებით. ესენი იყვნენ ავტომოტოკლუბისა და სასპორტო ორგანიზაციების („დინამო", „ბურევესტნიკი", „მშენებელი") წევრები — მოტოციკლისტები. კროსში მონაწილეობას იღებდა სულ 30-მდე მოტოციკლეტი, მათგან 4 უცხო ფირმისა და დანარჩენები — საბჭოთა მარკისა.

კროსის მიზანი იყო სამოტოციკლეტო სპორტის პროპაგანდა, ამ სპორტში მოტოციკლისტთა ფართო წრეების ჩაბმა, მოტოციკლისტთა გაწვრთნილობისა და ამტანიანობის შემოწმება.

თბილისიდან მცხეთამდე კოლონა ჩვეულებრივი მწყობრული წესით მიდიოდა, აქედან კი მიცემული იყო კროსული სტარტი და მანქანები გამართნენ კავთისხევისაკენ მთელი რიგი დაბრკოლებების გადალახვით. მოტოციკლისტები მანქანებს მართავდნენ აირწინაღაფარებულნი.

მცხეთიდან კავთისხევამდე გზა მეტად ცუდი აღმოჩნდა. მოტოციკლისტებს დიდი ძალღონისა და სიმარჯვის გამოჩენა სჭირდებოდათ, რათა მანქანებიდან არ გადმოცვენილიყვნენ. კროსმა წარმატებით ჩაიარა. კოლონა საშუალოდ საათში 10 კილომეტრის სისწრაფით მიდიოდა.

მძლავრი კატეგორიის მანქანებზე ყველაზე უკეთესი სისწრაფე უჩვენეს: კონსტანტინე ბერუჩაშვილმა და ვართან არუთინოვმა; სუსტი სიმძლავრის კატეგორიის მანქანებზე — აკაკი ხაბურზანიამ, გიორგი ლეჟავამ, ს. ყაზარიანმა, ხოლო ეტლიან მანქანაზე — გ. ბარანოვმა.

საღამოს 7 საათზე კოლონა მწყობრული წესით დაბრუნდა თბილისში.

კროსში მონაწილეობას იღებდა საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის უფროსი ამხ. ა. ქელიძე. კროსი ჩატარდა თბილისის ავტომოტოკლუბის უფროსის ამხ. მიქელაძის კომანდირობით, მთავარი მსაჯი იყო დ. ბერუჩაშვილი.

აღსანიშნავია მოტოციკლისტთა დისციპლინიანობა და კროსის წესიერი ორგანიზაცია.

მედმუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება

ჯანსახკომის მედგანათლების სამმართველო თბილისში აწყობს ექიმის თანაშემწეების კვალიფიკაციის ასამაღლებელ სამთვენახევრიან კურსებს. კურსებზე გადამზადდება 200-ზე მეტი მედმუშაკი, რომლებიც მიიღებენ სანიტფერშლის კვალიფიკაციას; გადამზადების შემდეგ ისინი დაინიშნებიან საქართველოს რაიონებში სახელმწიფო სასანიტარო ინსპექტორების თანაშემწეებად.

ავადმყოფებს უკეთ მომსახურების მიზნით ჯანსახკომის მედგანათლების სამმართველო რაიონების დიდ საავადმყოფოებთან აწყობს ავადმყოფთა მომვლელებისა და სანიტარების გადასამზადებელ ექვსთვიან კურსებს, სადაც 250 სანიტარი — ავადმყოფის მომვლელი მიიღებს სპეციალურ საკვალიფიკაციო განათლებას წარმოებისაგან მოუწყვეტლივ.

ჯანსახკომთან არსებობს აგრეთვე ქიმიურ-ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიებში მომუშავე ლაბორანტების კვალიფიკაციის ასამაღლებელი ერთწლიანი კურსები. კურსებმა ამ დღეებში გამოუშვა 80-ზე მეტი ფერშალი და ლაბორანტი, რომლებიც უკვე გაემგზავრნენ რაიონულ საავადმყოფოებში და ლაბორატორიებში სამუშაოდ.

მასწავლებელთა სახლში

27 მარტს, საღ. 8 საათზე შესდგება ზაქ. კიკნაძის ლექცია: „იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური იდეები".

28 მარტს, საღ. 8 საათზე პროფ. მოსე გოგიბერიძე წაიკითხავს ლექციას: „ქრისტიანობის წარმოშობა".

ლექციებზე დასწრება თავისუფალია.

საქართველოს ქალაქების ნაკრები გუნდის ფეხბურთელები.

ფოტო რ. აკოფოვისა

ფეხბურთი

„დინამო"—ქალაქების ნაკრები

24 მარტს „დინამოს" ოსტატების მორიგმა სავარჯიშო მატჩმა დიდძალი ხალხი მიიზიდა სტადიონზე. 15.000-მდე მაყურებელი ადევნებდა ამ დღეს თვალყურს ოსტატების თამაშს საქართველოს ქალაქების ნაკრებ გუნდთან.

ნაკრები შედგენილი იყო თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ფოთის, ხაშურისა და ოჩამჩირის მოთამაშეებისაგან, რომლებიც ამჟამად სავარჯიშო შეკრებაზე იმყოფებიან თბილისში. გუნდში თამაშობდნენ: მეკარე ტყებუჩავა (თბილისი), მცველები არჩაია (სოხუმი) და ჯომარდიძე (ხაშური), ნახევარმცველები — გუნია (ფოთი), ნ. ჩხატარაშვილი და კიკვაძე (ორივე თბილისიდან), თავდამსხმელები კუპრავა (ოჩამჩირე, მეორე ტაიმში შესცვალა თბილისელმა ბელოენკომ), მარუაშვილი (ბათუმი), მაგდესიანი (ბათუმი, მეორე ტაიმში შესცვალა თბილისელმა სოლტანმა), სიხარულიძე და პანინი (ორივე თბილისიდან).

მიუხედავად იმისა, რომ ნაკრებში თავმოყრილი იყვნენ ერთმანეთთან შეუწყობელი ფეხბურთელები, გუნდმა კარგი თამაში გვიჩვენა და ძლიერი წინააღმდეგობა გაუწია „დინამოს". ამ მატჩმა ნათელჰყო, რომ ფეხბურთის კლასი საქართველოში განუწყვეტლივ იზრდება.

მშვენივრად თამაშობდნენ ნაკრებიდან ტყებუჩავა, რომელმაც ბევრჯერ იხსნა თავისი გუნდი დამარცხებისაგან, არჩაია, ჯომარდიძე, პანინი, სიხარულიძე, მარუაშვილი, გუნია, ჩხატარაშვილი, კიკვაძე. მათი მონდომებისა და ხალისიანი თამაშის შედეგია, რომ ოსტატებმა ამ მატჩში ერთ ბურთზე მეტის გატანა ვერ მოახერხეს.

შეჯიბრება დამთავრდა 1:0 „დინამოს" სასარგებლოდ.

გამარჯვებულები ძირითადი შემადგენლობით თამაშობდნენ: დოროხოვი, შავგულიძე, ჭუმბურიძე, კიკნაძე, მინაევი, ჯორბენაძე, გავაშელი, ბერძენიშვილი, ბერეჟნოი, ჯეჯელავა, სომოვი (რომელიც შემდეგ შესცვალა აფრიდონიძემ).

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში.

26 მარტს.

აგიტაციის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: მუშების გალატაკება კაპიტალისტურ ქვეყნებში. კონსულტანტები: ქართულ ენაზე — ამხ. მოისწრაფიშვილი, რუსულ ენაზე — ამხ. კვაჭაძე. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

ალკკ კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: ბოლშევიკების პარტია სამოქალაქო ომის პერიოდში (1918—1920 წ. წ). კონსულტანტი ქართულ ენაზე — ამხ. სიფრაშვილი. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

* * *

26 მარტს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგ. კიროვის რაიკომის პარტკაბინეტში აგიტპუნქტების აგიტატორთა და რაიონის აგიტატორთათვის ქართულ და რუსულ ენებზე შესდგება ჯგუფური კონსულტაცია თემაზე: სოციალისტური საქართველო საბჭოთა ხელისუფლების XVII წლისთავზე (მეორე მეცადინეობა).

* * *

26 მარტს, დღის 3 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგ. ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში შეუკავშირებელ მოსახლეობის შორის, აგიტპუნქტებში მომუშავე აგიტატორებისათვის შესდგება სემინარი ქართულ ენაზე.

* * *

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს ამხ. ზ. ა. ელბაქიძეს, ა. ნ. კალანდაროვს, ი. გ. ჩიტაძეს, შ. გ. ბასიაშვილს, ნ. გ. ფილიევს, ა. ფ. მიტკევიჩს, მ. ა. მაკშანოვს, ნ. ნ. ცხოვრებაშვილს და გ. ა. ჩიტაძეს სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ პარტკოლეგიაში ამხ. დევიძესთან (ძერჟინსკის ქ. № 8).

* * *

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს ამხ. გ. ქ. ჩეხოვას (სამხრეთ-ოსეთი), კ. ა. თოფჩიანს (აფხაზეთი), ი. ი. მაგრაქველიძეს (ჩხარი) და ტ. ა. კოპალაძეს სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ პარტკოლეგიაში ამხ. კაკაბაძესთან (ძერჟინსკის ქ. № 8).

* * *

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს იოსებ ანდრიას-ძე ვნუკს, ნიკოლოზ კარპის-ძე ვოლოხოვს და კ. ლ. დარჩიას სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ პარტკოლეგიაში ამხ. ლაშაურთან (ძერჟინსკის ქ. № 8).

* * *

26 მარტს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგ. ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში ქართულ ენაზე შესდგება კონსულტაცია თემაზე: ბრძოლა მარქსისტული სოციალ - დემოკრატიული პარტიის შექმნისათვის რუსეთში (პლეხანოვის „შრომის განთავისუფლების ჯგუფის" 1883 წ. ჩამოყალიბებიდან „ისკრის" პირველი ნომრების გამოსვლამდე 1900—1901 წ.). კონსულტანტი ამხ. მიხელაშვილი.

* * *

26 მარტს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგ. სტალინის რაიკომის პარტგანათლების სახლში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების შემსწავლელი წრეების ხელმძღვანელებისა და აგიტატორებისათვის ქართულ და რუსულ ენებზე შესდგება ჯგუფური კონსულტაცია თემაზე: საქართველოს სსრ სახელმწიფოებრივი წყობილება და სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები.

* * *

26 მარტს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგ. ლენინის რაიკომის პარტკაბინეტში პროპაგანდისტებისა, აგიტატორებისა და პარტაქტივისათვის შესდგება ამხ. პაჩინსკის მოხსენება თემაზე: საერთაშორისო მდგომარეობა.

* * *

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. კიროვის რაიკომი იუწყება, რომ 26 მარტს, საღამოს 7 საათზე მე-109 სკოლის შენობაში (სარეწაო კოოპერაციის ქ.) რაიონის პროპაგანდისტებისათვის შესდგება პროსემინარი.

ყველა პროპაგანდისტის დასწრება სავალდებულოა.

პ.-მგ. რედაქტორის მოადგილე
ვ. ხატიაშვილი.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი

26/III წარმ. № 132	მური
27/III წარმ. № 133	ნაპერწკლიდან

რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი 1938 წ. სეზონი

26/III	წარმოდგენა 130. სულელი
27/III	წარმოდგენა 131. სულელი
28/III	წარმოდგენა 132. ოტელო

სალარო ღიაა 12 საათიდან 9 საათამდე.
დასაწყ. 8 საათზე.

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

26/III	მუდმ. ადგ. ტალ. № 144 ერთდრ. ბილ. სერია № 3 ჯამბაზები და საკონცერტო განყოფილება
27/III	მუდმ. ადგ. ტალ. № 145 ერთდრ. ბილ. სერია № 5 აბესალომ და ეთერი
28/III	მუდმ. ადგ. ტალონი № 146 ტოსკა

დასაწყისი საღ. 8 საათზე
მუდმივი ადგილების
გადასახადი მთლიანად უნდა იყოს დაფარული მარტში.

სახცირკი. ტელ. 3-11 44
დღეს. 26 მარტს
საცირკო წარმოდგენა
ვრცელი პროგრამით
აგრეთვე ფრანგული პროფესიული
ჭიდაობის მატჩების გაგრძელება
ჭიდაობს 3 წყვილი:
1-ლი—გადამწყვეტი შეხვედრა
ვილი ბური—ფ კოქემიაკა
მე-2—ა. ბაიკონე ი—ვ მიხალენკო
მე-3—ა. პიპოვი—ვ. ბოროვსკი
დასაწყ. წარმოდგ. საღ. 8 ს. 30 წ.,
ჭიდაობისა – 10 ს. 30 წ.
სალარო 12 დან 2 ს-მდე და 5 საათიდან.
დღეს უკანასკნელი საარდადეგო წარმოდგენა დღ ისით. დასაწყ. დღის 2 ს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში
1938 წლ. 11 აპრილს, საღამოს 8 ს. აუდიტორია № 86-ში ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად
ლ. ი. ლოზოვოი დაიცავს დისერტაციის თემაზე:
„Массовые вредные насекомые хвойных насаждений Боржомского и Ахалцихского районов и энтомологическое обоснование способов очистки мест рубок".
ოპონენტი პროფესორი—დოქტორი ლ. კალანდაძე.
დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.
1065 თბილისის სახ. უნივერსიტეტის რექტორი კიკნაძე.

მისამართი, რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სას ოფლო-სამეურნეოს — 3—73—40. მშრომელთა წერილების — 3—73—24; პ.-მგ. მორიგის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81; სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობის ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", თბილისი, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული 1468